# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 13 ივლისი, 2010 წელი.

№130 (6496)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## ნატოში ② რომ მიგვიღონ, თურმე სეპარატისტული რესპუბლიკები უნდა ვაღიაროთ

## ლიბერალიზმი მართლა გადაარჩენს სამყაროს თუ დაღუპავს... ③



## რატომ აღარ სჭირდებათ საქართველოში პროფესიონალი ქართველები, რომლებიც უცხოეთში დიდ ავტორიტეტს იხვეჭენ ⑦



## როგორ დატოვა ⑤ უბინაოდ გამომძალველმა კარლო ჩაკვეტაძემ მოქალაქე დავით გვენეტაძის ოჯახი



## ქვეყნის დამაქცევარი ბარბაროსები ენის დამაქცევარმა ბარბაროსებმა შეცვალეს ⑨

## რატომ აბუნდოვანებს პუტინი ვითარებას? ③





## აფრასიძეების ② საქმის განხილვა გრძელდება

## ათი წლის ⑤ მანძილზე ჩვენს საარჩევნო კოდექსში სამასამდე ცვლილება შესულა

ნომრის კარიკატურა



◉ „სახალხო სასამართლო"

# აფრასიძეების საქმის განხილვა გრძელდება

**„სახალხო სასამართლოში" აფრასიძეების გახმაურებული საქმის განხილვა გრძელდება. მეორე მოსმენა გუშინ გაიმართა, რომელზედაც ბრალდების მხარემ მტკიცებულებები წარმოადგინა, უფრო სწორად დაიკითხა ორი მოწმე. დაცვის მხარეს მოწმეები არ ჰყოლია. შეგახსენებთ, რომ ბრალდების მხარის ადვოკატები გელა ნიკოლაიშვილი და მალხაზ ჯანგირაშვილი ხელისუფლებას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევაში ადანაშაულებს როგორც აფრასიძეების წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის ორგანიზატორსა და უშუალო შემსრულებელს. ამ ეტაპზე სასამართლო ბრალდების მტკიცებულებების გამოკვლევაზეა გადასული და ამ პროცესში მოწმეების, თვითმხილველების დაკითხვა აუცილებელია.**




გუშინდელ პროცესზე გამოძახებული ორი მოწმიდან (ომეხ, შმაგი და გოჩა აფრასიძეების დეიდაშვილი ნათია აბდელანი და დაზარალებული დოდო სინდიანი) სასამართლოში ორივე გამოცხადდა, თუმცა, ვიდრე მათი ჩვენებების შინაარსზე გადავიდოდით, აუცილებელია სასამართლოს მიმდინარეობასაც გავუსვათ ხაზი.

პროექტი „სახალხო სასამართლო" არა მარტო საქართველოშია უპრეცედენტო, შეიძლება ითქვას — დანარჩენ მსოფლიოშიც. როგორც თავად პროექტის ინიციატორები აცხადებენ, ეს ყველაფერი საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ამაღლებას ემსახურება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ „სახალხო სასამართლო" იყენებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს, რომელიც ქართულ სასამართლოში ჯერ არ არსებობს. პირველი საქმის შემდეგ (ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობა), რომელიც წარმატებით დასრულდა, მეორე საქმეში მხარეთა (როგორც ბრალდების ისე დაცვის ადვოკატების, ასევე ნაფიც მსაჯულთა) აქტიურობა გაცილებით გაზრდილია, ეს შეიძლება თავად აფრასიძეების ფაქტორითაა განპირობებული.



ალბათ სუბიექტური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლოს პრინციპებზე დაფუძნებული „სახალხო სასამართლო" თავის ფუნქციას პირნათლად ასრულებს.

რაც შეეხება აფრასიძეების საქმეს, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენებიდან სვანეთში, მესტიის რაიონი სოფელ ეცერში 2004 წლის 24 მარტს ჩატარებული სპეცოპერაცია თავისი მასშტაბით გამაოგნებელია. მასში, როგორც მოწმეები ამტკიცებენ და საქმის მასალებშიც დევს, მონაწილეობდა 12 საბრძოლო ვერტმფრენი, 16 სამხედრო ტიპის სატვირთო და ათეულობით მსუბუქი ავტომანქანა. გამოიყენეს სარაკეტო დანადგარები და ე. წ. „მუხაც" კი.

— დილის 6 საათი იქნებოდა, როცა ჩემი ყურადღება ვერტმფრენის ხმამ მიიპყრო, ვიფიქრე, რომ მესტიაში პენსიები და ხელფასები ჩამოიტანეს, თუმცა აივანზე გამოვედი და დავინახე, რომ ერთ ვერტმფრენს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე... და ყველა ერთად ჩვენი სოფლისკენ დაიძრა. მაშინვე გავიქეცი ჩემი შვილის — შმაგი აფრასიძის სახლში, რომელიც ჩვენს ეზოშია. ვერტმფრენებიდან უკვე ისროდნენ. შმაგიმ ბავშვები, ცოლი და მე საწოლქვეშ დაგვმალა, როცა სახლიდან ხმა აღარ გამოდიოდა, მაშინ უკვე სპეცრაზმელები შემოვიდნენ და შმაგი აიყვანეს, — იხსენებს ქალბატონი დოდო სინდიანი, ევგენი აფრასიძის მეუღლე და შმაგი, გოჩა და ომეხ აფრასიძეების დედა.

მისივე ნაამბობიდან: სპეცოპერაციის დაწყებისას სახლში მე, ჩემი მეუღლე, ორი შვილი — გოჩა და ომეხი და შვილიშვილი გიორგი ვიმყოფებოდით. მას შემდეგ, რაც შმაგისთან გავიქეცით, სპეცრაზმელები შევიდნენ სახლში და ომეხი და გოჩა ხელფეხშეკრული გარეთ გამოიყვანეს. ომეხი მეზობლის ეზოში დახვრიტეს, გოჩას კი რამდენიმე ცეცხლსასროლი ჭრილობა ჰქონდა ზურგზე მიყენებული, თუმცა გადარჩა. ჩემი მეუღლე კი შვილიშვილთან ერთად ხელებაწეული გამოვიდა გარეთ, მას ერთი ტყვია ილლიაში ჰქონდა მოხვედრილი, სანამ გოჩას და ომეხს დაიჭერდნენ მათ მამის და ბავშვის შინ შეყვანა მოასწრეს. გიორგი (შვილიშვილი) მეზობლებთან გადამალეს, ხოლო ევგენის (მეუღლე) გამოყვანის უფლება არ მისცეს, და მას შემდეგ, რაც სპეცრაზმელებმა სახლს ცეცხლი წაუკიდეს, ის ცოცხლად დაიწვა.

აფრასიძეების ოჯახიდან ძებნილი მარტო ომეხ აფრასიძე იყო, რასაც დოდო სინდიანიც ადასტურებს. ამის მიუხედავად, მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივ პოლიციასთან და თავის დროზე „ვარდების რევოლუციასაც" უჭერდა მხარს, ანუ მის დასაკავებლად მასშტაბური სპეცოპერაციის ჩატარების აუცილებლობა არ არსებობდა.

სულ სხვა ვერსიას ავრცელებდა ხელისუფლება. ისინი აფრასიძეებს სვანეთის ტერორში და ათას მძიმე დანაშაულში (მათ შორის გატაცება და მკვლელობა) სდებდნენ ბრალს. სპეცოპერაციის შემდეგ კი აქტიურად საუბრობდნენ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევაზე, რასაც თვითმხილველები და დაზარალებული კატეგორიულად უარყოფენ.

რაც შეეხება ნათია აბდელანის ჩვენებას. მან ყურადღება ომეხ აფრასიძის ცხედრის მდგომარეობაზე გაამახვილა:

— ამ ტრაგედიიდან ორი დღის შემდეგ ანუ 26 მარტს ჩავედი ეცერში. ომეხის გვამი ორ პიროვნებასთან ერთად გავაპატიოსნე. ის ორად იყო გაყოფილი გულ-მკერდის არეში. აღენიშნებოდა ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები, მარცხენა ხელი მთლიანად დამტვრეული ჰქონდა, მარჯვენა ხელის არათითი, რომელზეც საქორწინო ბეჭედი ეკეთა, მოჭრილი ჰქონდა, ყელზე ეტყობოდა ნაჭდევი, რაც ჯაჭვის აგლეჯვის შემდეგ რჩება. მთელ სხეულზე უამრავი ნატყვიარი და თავის არეში საფეთქელთან საკონტროლო გასროლა აღენიშნებოდა. სამედიცინო ექსპერტის ჩატარების მცდელობა გვქონდა, თუმცა მაშინვე გაისმა მუქარის ზარი და ოჯახის მდგომარეობიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, ეს ვეღარ მოვახერხეთ.

საქმეში იკვეთება სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებიც. პირველ რიგში ის, რომ სპეცოპერაციის დაწყების წინ ე. წ. რუპორით (ხმის გამაძლიერებლებით) არავინ გაუფრთხილებიათ. ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ ეს იყო მიზანმიმართული თავდასხმა აფრასიძეების ოჯახზე.

საქმეში გამოიკვეთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. აფრასიძეებს მიაწერდნენ ქართველი ფეხბურთელის კახი კალაძის ძმის, ლევან კალაძის გატაცებას და მკვლელობას. ამ საქმის გახსნა ახალი ხელისუფლებისთვის პრესტიჟის საკითხად იქცა, რასაც ისიც ადასტურებს, რომ გახმაურებული სპეცოპერაციიდან თითქმის ერთ თვეში ეცერში კოშკის გათხრისას ლევან კალაძის გვამი იპოვეს. მათი ოჯახის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებას დაზარალებული ერთგვარად ამ მოვლენასთან აკავშირებს. ხელისუფლებას სჭირდებოდა ლევან კალაძის გამტაცებელი და ყველაზე კარგ კანდიდატურად აფრასიძეები მიიჩნია.

სპეცოპერაციის დროს მომხდარი დარღვევების გარდა, ბრალდების მხარე არასამართლიან სასამართლოზე და ოჯახის წევრების დევნაზე ამახვილებს ყურადღებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ სპეცოპერაციის დროს მოკლეს ომეხ და ევგენი აფრასიძეები, დაიჭირეს და დღესაც სასჯელს იხდიან გოჩა და შმაგი აფრასიძეები, ეს უკანასკნელი არასდროს არ ყოფილა ძებნილი. შმაგი აფრასიძის მეუღლე ამჟამადაც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წევს შიზოფრენიის დიაგნოზით. ფსიქიკური პრობლემები მას სწორედ 2004 წლის 24 მარტის შემდეგ შეექმნა.

— მე არ ვამტკიცებ, რომ ომეხი არაფერს აშავებდა, მაგრამ მთლიანად ოჯახს რას ერჩოდნენ, იქ ხომ მცირეწლოვანი ბავშვები იმყოფებოდნენ? რომელთაც საკუთარი თვალით ნახეს ეს სისასტიკე. მე მარტო სამართლიანობას ვითხოვ, — აცხადებს დოდო სინდიანი.

„სახალხო სასამართლოში" საქმის შემდეგი მოსმენა დღეს გაიმართება. ბრალდების მხარე რამდენიმე მოწმეს გამოიძახებს და მტკიცებულებების სახით ვიდეომასალას წარმოადგენს, რომელთაგან ერთი პრეზიდენტის ამ საქმესთან დაკავშირებით გაკეთებული და ერთად შეკრებილი განცხადებების დასაშვებობა დაცვის მხარემ (ელგუჯა ახალაია და ვახტანგ ნაყოფია) გააპროტესტა, მაგრამ მოსამართლემ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

ანა წიწილაშვილი

◉ ინფორმაცია

## პატრიარქმა წმინდა მოციქულების ხსენების დღე მოგვილოცა

**საღმრთო** ლიტურგიის დასრულების შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მრევლს ტრადიციული ქადაგებით მიმართა და წმინდა მოციქულების — პეტრესა და პავლეს ხსენების დღე მიულოცა. უწმინდესმა ტაძარში მრევლთან და სასულიერო პირებთან ერთად, წმინდა პეტრე და პავლე მოციქულების ტროპარიც იგალობა.

ქადაგებისას უწმინდესმა წმინდა მოციქულების ღვაწლზე ისაუბრა და მრევლს მოუწოდა წმინდა პეტრე და პავლე მოციქულების ტროპარი სახლში, 3-ჯერ იგალობონ, რათა სახლში დღევანდელი დღის მადლი მიიტანონ.

უწმინდესის განმარტებით, 12 მოციქულის ხსენების დღეს იგი საღმრთო ლიტურგიას სვეტიცხოველში აღავლენს.

## მთავრობა კვლავ ახალ პრივატიზებას გეგმავს

**საქართველოს** ხელისუფლება საჰაერო მოძრაობის მართვის და კონტროლის საშუალებების პრივატიზაციას გეგმავს. ამის შესახებ ცნობილი გუშინ, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე გახდა, სადაც კანონპროექტი „სახელმწიფო ქონების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მეორე მოსმენით განიხილეს. იმ ნუსხიდან, რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარება გადახაზულია ქვეპუნქტი — საჰაერო მოძრაობს მართვისა და მოძრაობის საშუალებები.

აღსანიშნავა, რომ კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისას აღნიშნული პუნქტი ნუსხაში იყო. მეორე მოსმენისთვის დარიგებულ კანონპროექტში კი ეს პუნქტი ამოღებული არ არის, მაგრამ გადახაზულია. ამის მიზეზის გარკვევა კომიტეტის სხდომაზე ედპ-ს წარმომადგენელმა გურამ ჩახვაძემ მოინდომა და როგორც კანონპროექტის ერთ-ერთმა ავტორმა, ლაშა თორდიამ განაცხადა, შესაძლოა ეს პუნქტი მართლაც იქნას ამოღებული ამ ნუსხიდან.

## გადასახადს აქციზების ბრუნვის მიხედვით გადაიხდიან

**ახალი** საგადასახადო კოდექსის მიხედვით, კავშირგამბულობის კომპანიები გადასახადს ბრუნვის მიხედვით გადაიხდიან, რომელიც აქციზზე იქნება მიბმული.

— აქციზის ბრუნვასთან პროცენტულ მიმართებას მთავრობა დაადგენს, თუმცა მისი ზღვარი 10 %-ზე მეტი არ იქნება, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა და დასძინა, — „შემოგვაქვს საერთაშორისო, მათ შორის ამერიკული, პრაქტიკა, როდესაც აქციზი ვრცელდება სატელეფონო კავშირგაბმულობაზე. საქართველოს შემთხვევაში კოდექსი აწესებს ზედა ზღვარს, ანუ 10 პროცენტს, კომპანიების ბრუნვასთან მიმართებაში. განაკვეთი მთავრობამ უნდა განსაზღვროს და ის შეიძლება იყოს 1 %-იც და 5 %-იც და რასაკვირველია, ის დამოკიდებული იქნება დარგში არსებული რეინვესტირების საჭიროებებზე.

მისი თქმით, იმავდროულად ვისაც როგორც არ უნდა მოუნდეს, ტარიფს არსებულზე მეტად ვერ გაზრდის.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ როგოზინი ევროპიდან გვმოძღვრავს

## ნატოში რომ მიგვიღონ, თურმე სეპარატისტული რესპუბლიკები უნდა ვაღიაროთ

**საქართველო ნატოში მანამ ვერ გაწევრება, ვიდრე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს. ეს განცხადება რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა ნატოში დიმიტრი როგოზინმა გააკეთა.**

— საუბარი საქართველოს ნატოში გაწევრებაზე შეუძლებელია მანამ, ვიდრე საქართველო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს, ვიდრე გადაუჭრელია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემები, და ისინი მანამ არ გადაიჭრებიან ვიდრე საქართველო მათ დამოუკიდებლობას არ აღიარებს. საქართველოს ნატოსკენ მიმავალი გზა დაკეტილია. იმიტომ, რომ ნატო თავს ასეთი ფუფუნების საშუალებას ვერ მისცემს — თავის რიგებში მიიღოს ქვეყანა გაურკვეველი საზღვრებით, — განაცხადა როგოზინმა.

ჯი-ეიჩ-ენი

**აქტუალური თემა**

# პუტინის განცხადებები ვითარების გაბუნდოვნებას უფრო ემსახურება, ვიდრე...



***აღმოსავლეთ** ევროპასა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ვოიაჟის პოლიტიკურ შედეგებზე **„ინტერპრესნიუსი“** მოსკოვში მცხოვრებ მკვლევარს, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, რუსული ინტერნეტგამოცემა „ყოველდღიური ჟურნალის“ მიმომხილველს **ავთანდილ წულაძეს** ესაუბრა.*

**— ბატონო ავთანდილ, როგორ შეაფასებდით აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მიერ რუსეთის მისამართით თბილისში გაკეთებულ განცხადებებს?**

— აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ვიზიტი საქართველოსთვის კარგი ნიშანია. აშკარა იყო, რომ საქართველოს ობამას ადმინისტრაციისგან ისეთი ერთგულება და ყურადღება აკლდა, როგორიც ბუშის დროს ჰქონდა. 2009 წელს თბილისში ოპოზიციის გამოსვლების პერიოდში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ობამას ადმინისტრაცია მხარს არ უჭერდა პრეზიდენტ სააკაშვილს, აშშ-მ საქართველო რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკას შესწირა, რის გამოც თბილისში ხელისუფლება უნდა შეცვლილიყო. კლინტონის ვიზიტმა ცხადყო, რომ ეს ეტაპი დამთავრდა და ახალი ეტაპი დაიწყო, როგორც საქართველო-აშშ-ს, ისე აშშ-სა და რუსეთს შორის. ახლა ყველაზე აქტუალური და საინტერესოა, რით იქნება განსხვავებული ახალი ეტაპი იმისგან, რაც წინათ იყო.

გარდა ამისა, ამერიკული პრესა შენიშნავს, რომ აშშ სამხრეთ კავკასიას ისეთივე მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც — ბალკანეთს, სადაც 90-იან წლებში მასშტაბური საომარი მოქმედებები განვითარდა. სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად და ბალკანეთის მსგავსი პროცესების თავიდან ასაცილებლად ვაშინგტონი სამხრეთ კავკასიაში ინიციატივის ხელში აღებას ცდილობს.

**— თქვენი აზრით, თბილისში გაკეთებული განცხადებების გათვალისწინებით როგორი შეიძლება იყოს ახალი ეტაპის კონტურები?**

— კონტურები კლინტონი-სააკაშვილის ერთობლივ პრესკონფერენციაზე გამოჩნდა. თუ მიაქციეთ ყურადღება, პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება რუსეთის მოდერნიზაციას დაუკავშირა. სააკაშვილის განცხადება, რომ მოდერნიზებულ რუსეთთან ურთიერთობა და კონფლიქტების გადაწყვეტა უფრო ადვილი იქნება, რა თქმა უნდა, რუსეთის მიმართ თეთრი სახლის ახალი ადმინისტრაციის ხაზია, რომელსაც სააკაშვილმა მხარი დაუჭირა.

**— იმ შემთხვევაში, თუ აშშ-მ და მისმა დასავლელმა მოკავშირეებმა აღიარეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია, ასეთ ვითარებაში რამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთი ამ ორივე რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებას უკან გაიწვევს?**

— ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესები რუსეთში. რუსეთში 2011 წელს სახელმწიფო სათათბიროს, ხოლო 2012 წელს საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს. ამდენად, რუსეთშიც საარჩევნო პროცესი უკვე დაწყებულია. დღემდე გაურკვეველია, ვინ იყრის კენჭს საპრეზიდენტო არჩევნებზე, პუტინი თუ — მედვედევი. საპრეზიდენტო არჩევნებში შეიძლება, ორივემ მიიღოს მონაწილეობა, რაც მიანიშნებს, რომ ორივეს დაწყებული აქვს თავისი საპრეზიდენტო კამპანია. აშკარაა, რომ რუსეთს განვითარების ორი გზა აქვს — უფრო ლიბერალური, რომლის გამტარებლად მედვედევი მიიჩნევა ან უფრო ჩაკეტილ-საბჭოური და კონსერვატიული, რომლის გამტარებლადაც პუტინი მოიაზრება. ამ ორ დაჯგუფებას შორის არსებული დაპირისპირებით ამერიკელები სარგებლობენ და რუსულ შიდა პოლიტიკაში ჩარევით პუტინის დასუსტებას ცდილობენ. პუტინის პარტია არსებობს, მაგრამ ინსტიტუციურად გაფორმებული არ არის. რეალურად დღევანდელ რუსეთში, როგორც ამერიკაში, ორპარტიული სისტემაა, რომელიც ინსტიტუციურად გაფორმებული არ არის, მაგრამ მას საფუძველი მაშინ ჩაეყარა, როცა 2008 წელს მედვედევ-პუტინის ე.წ. ტანდემოკრატია შეიქმნა. ფაქტობრივად, ახლა რუსეთში ორპარტიული ხელისუფლებაა. ეს იგივეა, რომ ამერიკაში პრეზიდენტი ერთდროულად „რესპუბლიკელიც“ იყოს და „დემოკრატიც“. მე მაინც ვფიქრობ, რომ ამერიკელებს რუსეთში პერსპექტივაში ორპარტიული სისტემის შექმნა სურთ.

რა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთმა და აშშ-მ აღიარა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია; თუ ეს მართლაც მოხდა, რა თქმა უნდა, იმოქმედებს რუსეთში მიმდინარე საარჩევნო პროცესზე. ამ შემთხვევაში, საქართველო დასავლეთის ხელში რუსეთზე ზეწოლის ბერკეტია. აშშ-სთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება-არაღიარების საკითხი მეორეხარისხოვანია. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოსთვის დაბრუნება კი, შეიძლება ვივარაუდოთ, როგორც რუსეთის მოდერნიზაციის „თანმდევი შედეგი“, მაგრამ აშშ-ს მთავარი მიზანი რუსეთში პოლიტიკურ პროცესზე ზეგავლენის მოხდენა, კრემლში პრეზიდენტის რანგში ჩეკისტის დაუშვებლობა და რუსეთის მოდერნიზაციაა.

**— პუტინის განცხადებისგან ნათლად ჩანს, რომ რუსეთს საქართველოსთან ერთი-ერთზე დარჩენა და კონფლიქტებში კვლავ შუამავლისა და მშვიდობისმყოფელის როლის მორგება სურს. ამგვარი პერსპექტივა რამდენად რეალურია?**

— აშშ საკითხს ასე აყენებს — რუსეთმა უნდა გაიყვანოს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ჯარები და ორივე რეგიონში საერთაშორისო საპოლიციო ძალები განლაგდნენ. რუსეთისთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თემამ აქტუალობა დაკარგა. ორივე რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთისთვის და პუტინისავის ძალიან წამგებიანი აღმოჩნდა. არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთი დათანხმდეს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, როგორც თავისი ჯარების გაყვანას, ისე ამ ორივე რეგიონში საერთაშორისო საპოლიციო ჯარების განლაგებას. ამის შემდეგ, ასევე არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთმა მოლაპარაკებების პროცესი ისევე გააჭიანუროს, როგორც აგვისტოს ომამდე თბილისსა და სოხუმს და თბილისსა და ცხინვალს შორის მოლაპარაკებებს და ახლა ჟენევის მოლაპარაკებებს აჭიანურებს.

აბსოლუტურად გამოვრიცხავ რუსეთის მიერ საქართველოს კონფლიქტებში კვლავ შუამავლისა და მშვიდობისმყოფელის როლის შესრულებას და საქართველოსთან ერთი-ერთზე დარჩენას. საერთოდ, პუტინის განცხადებებზე ზედმეტი ყურადღების მიქცევას არ გირჩევდით. პუტინის განცხადებები ხშირ შემთხვევაში ვითარების გაბუნდოვნებას უფრო ემსახურება, ვიდრე — რაიმეზე ნათელის მოფენას. საქართველოს რუსეთთან ერთი-ერთზე დარჩენა გამორიცხულია. შეიძლება ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში კლინტონის ვიზიტის შემდეგ აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობებში „გადატვირთვა-2“-ის ეტაპი დაიწყო. ახალი ეტაპის მიზანია რუსეთის პოლიტიკური წყობის ლიბერალიზაცია და კრემლში ჩეკისტების დაუშვებლობა.

**— თქვენი დაკვირვებით, როგორია რუსული საზოგადოებისა და პოლიტელიტის განწყობა, მათ მეტი დემოკრატია სურთ თუ ტოტალიტარიზმი? ანუ ვისი გამარჯვება უფრო სავარაუდოა, მედვედევის თუ პუტინის?**



— საქართველოსგან განსხვავებით, რუსეთში საზოგადოება ძალიან პასიურია. ხშირ შემთხვევაში ქართული საზოგადოება ძალიან აქტიურია. რუსეთის საზოგადოების უმრავლესობას კი, არ აინტერესებს, რა და როგორ ხდება პოლიტიკაში. ეკონომიკურ კრიზისამდე ხალხს ხელისუფლება იმიტომ აწყობდა, რომ ცხოვრება მეტნაკლებად უმჯობესდებოდა. ახლა რუსეთის საზოგადოებაში უფრო მეტად აპათია, დეპრესიული განწყობა და ნიჰილიზმი სჭარბობს. არც ერთია კარგი და არც მეორე. არც ერთს და არც მეორეს არ შეუძლია, საზოგადოებასა და ხალხს რამე ახალი შესთავაზოს. ხალხის უმეტესობისთვის არაფერს ნიშნავს „ლიბერალი“, „დემოკრატი“ და „კონსერვატორი“. ხალხს ცხოვრების დონის გაუმჯობესება უნდა, მაგრამ როგორ, არ იციან. რუსეთი ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, როცა გაუგებარია და არავინ იცის საით, რისთვის და როგორ უნდა იმოძრაოს.

ასეთ სიტუაციაში შეიძლება ელიტის გააქტიურება და ისეთი ახალი ძალების ასპარეზზე გამოსვლა, რომლებიც ახლა არ ჩანან. კანონზომიერება ასეთია **— რაც უფრო პასიურია საზოგადოება, მით მეტად აქტიურია პოლიტელიტა. ჰიპერაქტიურობასა და ჰიპერპასიურობას დიდი რყევები მოჰყვება ხოლმე.**

**კობა ბენდელიანი.**

**ინტერნეტიდან**

# ლიბერალიზმი - სამყაროს გადამრჩენი, თუ - პირიქით

***ჩვენს** ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს რომ ვაკვირდები, უნებურად ცნობილი ქართველი პოეტის სიტყვები მაგონდება: „ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“... რეალურობაში ეს ამბავიც სწორედ ასეა; ხელისუფლება გვეუბნება, რომ „ყველაფერი არის ძლიერ კარგად“, ხოლო ოპოზიცია საპირისპიროს გვიმტკიცებს: „ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“... ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში რომ ვიმყოფები, ბუნებრივია ვიხსენებ ხალხმრავალ მიტინგებს, საკნებს, ბლოკირებულ პარლამენტის შენობასა და პრეზიდენტის რეზიდენციას, ოპოზიციის ლიდერთა მგზნებარე გამოსვლებს... თითქმის ერთი წლის წინათ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი პოლიტიკური აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა, ყველა ელოდა ცვლილებებს, სიახლეებს, მაგრამ მომიტინგეთა მიზნებს აღსრულება არ ეწერა. მაშინ, ხელისუფლებამ მოახერხა ოპოზიციური მუხტის განელება და ოპოზიციური ერთობის დაშლა. შემდგომ კი ადგილობრივი მმართველობის არჩევნებში გამარჯვების მოპოვებაც.*

ოპოზიციამ ვერც ერთი კოზირი ვერ გამოიყენა, ვერც 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან დღენახევრიანი ომის წაგება, ვერც მოდელირებული ქრონიკა, ვერც დიდების მემორიალის აფეთქება ქუთაისში, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა და სხვა. ასეთი საბუთებით ნებისმიერი ქვეყნის ოპოზიცია საკუთარ ხელისუფლებას ათჯერ მაინც დაამხობდა, მაგრამ ჩვენმა ოპოზიციამ, მიუხედავად გარკვეული მცდელობისა, მაინც ფიასკო განიცადა. ამ შემთხვევაში რიტორიკული კითხვა უნდა დაისვას, რაშია ხელისუფლების ძალა, რა ხერხით ინარჩუნებს მმართველი გუნდი ძალაუფლებას? პასუხი მარტივია: ხელისუფლების ძლიერებას იდეოლოგია განსაზღვრავს, რომელსაც მეტად ბანალური სახელი „ლიბერალიზმი“ ჰქვია. რატომ ებღაუჭება ხელისუფლება ამ იდეოლოგიას, საერთოდ რაში სჭირდება იდეოლოგია თანაც ლიბერალური? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა კი ძნელიც არის და ადვილიც. ჩემი აზრით ლიბერალიზმი, როგორც ამას ქართველი ლიბერალები აცხადებენ, ქვეყნის ამერიკანიზაციას ნიშნავს, ამერიკანიზაციაში კი გლობალიზაცია იგულისხმება, რომელმაც სამყარო მრავალსახოვნებიდან ერთსახოვნად უნდა აქციოს. სწორედ ამ გზით აღესრულება ყბადაღებული „ამერიკული ოცნება“ და სწორედ ამის შესახებ წერს კიდეც ჟურნალ „ლიბერალის“ რედაქტორი შორენა შავერდაშვილი: „ამერიკელებს შეუძლიათ აირჩიონ 21-ე საუკუნის ამერიკული ოცნება და სამყარო, თავისი ახალი გამოწვევებითა და კომპლექსურობით და რეალური სურვილებით, გახადონ მსოფლიო ინტეგრირებული, ლიბერალური, მოქნილი და მშვიდობიანი, ვიდრე მე-20 საუკუნის ორპოლუსიანი, ცივი ომის მსოფლიო იყო.

იხ. 4 გვ.

ინტერნეტიდან

(მესამე გვერდიდან)

# ლიბერალიზმი - სამყაროს გადამრჩენი, თუ - პირიქით



ამერიკამ უნდა გააკეთოს არჩევანი ახალსა და ძველს შორის, პროგრესსა და კონსერვატიზმს შორის, უცნობ გზასა და ნაცნობს შორის და ეს ყველაზე თავისუფალი ქვეყნის მოქალაქეებისთვისაც რთული არჩევანია, ამერიკასაც უმრავლესობა მართავს, რომელიც პრაგმატულად ფიქრობს და არ უნდა საკუთარი პრივილეგიების დათმობა, ცვლილებებს სტაბილურობა ურჩევნიათ, ინოვაციებს — სტატუსკვო, სეკულარიზმს — რელიგია, ერთსქესიან ქორწინებებს — ოჯახი კაცსა და ქალს შორის და ასე შემდეგ... (რა ცუდი რამეები სდომებიათ!ძ. მე მგონი ეს სენტენცია კომენტარსაც კი არ საჭიროებს, ისედაც გასაგებია ყველაფერი. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ამერიკელებს ლიბერალიზმი კარგა ხანია მოყირჭებიათ, რომელიც მათს ქვეყანაში დიდ ხანს დომინირებდა და ლიბერალიზმის საპირისპიროდ კონსერვატიზმი აურჩევიათ. თავის სტატიაში: „აზრები ამერიკულ კონსერვატიზმზე, ცნობილი ამერიკელი მეცნიერი და მწერალი რასელ კერკი წერდა: „ამ საკითხზე რომ ვიწყებთ საუბარს, ჯერ ზოგიერთი განსაზღვრების რაობა უნდა დავაზუსტოთ, ამავე დროს უნდა შევიგნოთ, რომ ამერიკული კონსერვატიზმი იდეოლოგია კი არა, პოლიტიკის მიმართ საკუთარი ხედვა და მიდგომაა. რა არის კონსერვატიზმი? ასეთი რიტორიკული კითხვა, თავის დროზე აბრაამ ლინკოლნმა დასვა და კითხვას თავადვე უპასუხა — ეს არის ახალთან მიმართებაში ძველის აღიარება და არააპრობირებულთან შედარებით აპრობირებულისათვის უპირატესობის მინიჭება. ამით მან საკუთარი თავი კონსერვატორებს მიაკუთვნა...

საერთოდ ასეა, იდეოლოგიაში პოლიტიკური დოგმატიზმი და ზოგჯერ პოლიტიკური ფანატიზმი თავისთავად იგულისხმება, რაც ქვეყნის პოლიტიკური ლოზუნგებით მართვას ნიშნავს. ამიტომაც ამერიკის შეერთებულ შტატებში კონსერვატორული პოლიტიკური კურსი და პრობლემებისადმი კონსერვატორული მიდგომა ლიბერალური პოლიტიკის ალტერნატივას წარმოადგენს.

კონსერვატორები თავის საქმიანობას ძირითადად XVIII საუკუნის ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწის ედმუნდ ბურკეს შეგონებებით წარმართავენ, რასაც მან კაცობრიობის „გონი“ უწოდა. ესე იგი იმ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რომელიც კაცობრიობამ მრავალი საუკუნის განმავლობაში დააგროვა.

ერთი სიტყვით, ამერიკული კონსერვატიზმი გონისა და ხასიათის ერთობლიობა უფროა, ვიდრე მხოლოდ პოლიტიკური აბსტრაქციის უბრალო ჩამონათვალი.

აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლიბერალიზმი ამერიკელებისათვის გუშინდელი დღეა და მას აღარასოდეს დაუბრუნდებიან, უფრო სწორედ პრაქტიკულ პოლიტიკაში აღარ გამოიყენებენ. მათი კრედო ასეთია: ქვეყანაში მაღალი დონის მორალური წესრიგის დამყარება, პოლიტიკისა და ეკონომიკის ჰარმონიზაცია, პოლიტიკის ეთიკურობა, რომელიც რელიგიურ შეხედულებებს ეფუძნება, ტოტალიტარული იდეოლოგიის უარყოფა, კონსტიტუციისადმი სტაბილური ერთგულება, ამ შემთხვევაში არა მარტო კანონთა კრებულისადმი, არამედ ყველა იმ ტრადიციისა და ადათ-წესისადმი, რომლებიც საერთოდ ყველა ქვეყნის დაუწერელ კონსტიტუციად აღიქმება, ცენტრალური პოლიტიკური მმართველობის შეზღუდვა, შტატებისა და სხვა ადგილობრივი მმართველობის წახალისება, პიროვნების უფლებების დაცვა. ჭეშმარიტი პატრიოტიზმის გაღვივება და აგრესიისადმი შეურიგებლობა... ასეთია ძირითადად იმ ამერიკელთა მსოფლმხედველობა, რომლებიც თავიანთ თავს კონსერვატორებად მიიჩნევენ. ისინი კი დღესდღეობით უმრავლესობაში არიან, ისე, რომ პრაქტიკული პოლიტიკის ფარვატერში კონსერვატიული ტენდენციები სულ უფრო ძლიერდება, რასაც უდავოა ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, თეოლოგიის, იურისპრუდენციის, ეკონომიკის, ასევე კულტურის სფეროში შესაბამისი შედეგებიც მოჰყვება. ისიც უნდა ითქვას, რომ ლიბერალურ იდეოლოგიას ამერიკაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში გაუჩნდა ბზარი. ამის დასტურია ცნობილი ამერიკელი მწერლის ნორმალ მეილერის მიერ ჟურნალ „ფლეი ბოის“ რედაქტორის მისამართით გაგზავნილი წერილი, რომელშიც ნათქვამია: „ძვირფასო ბატონო, კარგი იქნებოდა, ჩემსა და უილიამ ბაკლის შორის დებატები არ დაგესათაურებინათ როგორც შეხვედრა კონსერვატორსა და ლიბერალს შორის. რაც გინდათ ის დამიძახეთ: რადიკალი, მეამბოხე, წითელი რევოლუციონერი, აუთსაიდერი, ბოლშევიკი, ანარქისტი, ნიჰილისტი, გინდაც მემარცხენე კონსერვატორი, მაგრამ თუ შეიძლება არასოდეს დამიძახოთ ლიბერალი...“

21-ე საუკუნის ათიან წლებში კი შორენა შავერდაშვილი ნორმალ მეილერსაც არ ეპუება და რიხიანად გაიძახის: „მე მაინც სხვანაირად მგონია, პიროვნების თავისუფლებისათვის მებრძოლი სხვა, უფრო ეფექტური ღირებულებითი პლატფორმა კაცობრიობას ჯერ არ მოუფიქრებია. საქართველოში კი, სადაც მუდმივად მტრულ ბანაკებად ვართ დაყოფილი, სადაც განსხვავებულის გვეშინია და ვდევნით, მასას კი ყოველთვის უფრო მეტი ძალა აქვს ვიდრე ინდივიდს, ლიბერალიზმი ჰაერივით საჭირო მგონია, გვინდა ეს სიტყვა პოლიტიკური ნანგრევებიდან (უფრო სწორი იქნებოდა ნაგვიდანძ ამოვიტანოთ და ადამიანურ მანიფესტად ვაქციოთ, მრავალფეროვანი რეალობის ამსახველ მანიფესტად“... ვერაფერს იტყვი, ამ სიტყვებს დამაჯერებლობა თუ არა პათეტიკურობა მაინც არ აკლია, ამიტომ ქალბატონი რედაქტორის სარედაქციო წერილი ასევე პათეტიკურად მთავრდება: „გულწრფელი მადლობა მინდა ვუთხრა „ფონდ ღია საზოგადოება-საქართველოს“, ყველა იმ ადამიანს, ვინც დაიჯერა, რომ ჩვენ სამყაროს გადარჩენა გვინდა“...

ჩვენ კი ვის დავუჯეროთ, — ცნობილ ამერიკელ მწერალს ნორმან მეილერს, რომელსაც ლიბერალის დაძახებაზე სირცხვილის ალმური ასდის, თუ შორენა შავერდაშვილს, რომელსაც იმ მოძღვრების რეამინაცია სურს, რომელსაც უკვე კარგა ხანია ნაფტალინის სუნი ასდის, მაგრამ ჩვენ ხომ ყველამ კარგად ვიცით, როგორია ქართველი ლიბერალების ნამდვილი სახე, რა არის მათი სავიზიტო ბარათი, მათი მიზნები და ამოცანები: ინცესტისა და სქესობრივი ანომალიების წახალისება, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონება, სკრაბეზული ლიტერატურისა და მათი ავტორების დაცვა, ეროვნული ფასეულობების უარყოფა და საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ბინძური მეთოდებით ბრძოლა... ცხადია, რომ ქართველი ლიბერალები მსგავსი ფასეულობებით ფონს ვერ გავლენ, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მათ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში შეაღწიეს: მეცნიერებაში, განათლების კერებში, კულტურაში, სპორტში, მასმედიაში, განსაკუთრებით კი, ტელევიზიაში, საიდანაც დღენიადაგ უგემოვნობის, უხამსობისა და უზნეობის ჩანჩქერი მოსჩქეფს. ხელისუფლება კი ყველაფერზე თვალს ხუჭავს, არ რეაგირებს იმაზე, რომ უღირსი მეთოდებით ებრძვიან საქართველოს ეკლესიას, წმინდა სინოდსა და პირადად ჩვენს პატრიარქს, მაგრამ ამ თითქოსდა ნეიტრალურ ქმედებაში ხელისუფლების ნამდვილი ზრახვები მაინც იკითხება: მმართველი გუნდი ხელისუფლებაში დიდხანს დარჩენაზე ფიქრობს, ამისთვის კი ხალხი თანდათანობით ბრბოდ უნდა გადაიქცეს, რადგან ბრბოს მართვა გაცილებით ადვილია; მაგრამ ხელისუფლებამ ისიც იცის, რომ ვიდრე არსებობს საქართველოს ეკლესია, ვიდრე გვყავს პატრიარქი, ამ საზარელი პროექტის განხორციელება ყოვლად შეუძლებელია.

აქ შეიძლება წერტილიც დავსვათ, რადგან პოლიტკორექტულობის პრინციპი უფლებას არ მაძლევს უფრო მკაცრად ვილაპარაკო. მე მხოლოდ ერთ ამბავს შევახსენებ ყველას, ერთხელ ერთ შეხვედრაზე რომელიღაც ქვეყნის საელჩოს მოლიბერალო თანამშრომელმა ჩვენს პატრიარქს ჭკუის სწავლება დაუწყო, მან კი მისთვის დამახასიათებელი სიდინჯით ამ სიბრიყვეს ასეთი პასუხი გასცა: „პირველი ილია 1500 წლის წინ იყო, მე კი ილია მეორე ვარ“-ო. ამ სიტყვებში ნათლად გამოჩნდა საქართველოს ეკლესიის, საერთოდ კი მართლმადიდებლობის დაუმარცხებელი ძალა. ისე რომ ვაფრთხილებ ყველას, ვისაც თავი არ მოსძულებია: **საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ გამართულ ბაკქანალიას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს, რადგან ეკლესია ურყევ კლდეზე დგას და არათუ ჩვეულებრივი მოკვდავნი — ჯოჯოხეთის ბჭენიც კი ვერ სძლევენ მას.**

**ოთარ ფანასკერტელი-ციციშვილი**

ინფორმაცია

## პიერ მორელი ცხინვალს სტუმრობს

**ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებათა თანათავმჯდომარეების დელეგაცია ჩავიდა, რომელსაც ევროკავშირის წარმომადგენელი პიერ მორელი ხელმძღვანელობს.**

**დელეგაციის შემადგენლობაში ასევე იმყოფებიან თანათავმჯდომარეები ეუთოს მხრიდან - ბოლატ ნურგალიევი და გაეროს მხრიდან ანტი ტურუნენი, ასევე სამდივნოს წარმომადგენელი რასა ოსტრაუსკაიტე, ევროკომისიის მთავარი პოლიტიკური მრჩეველი ტერი ბეშე და გაეროს ლტოლვილთა საკითხების უმაღლესი კომისრის სამმართველოს წარმომადგენელი კრისტოფ ბიერვიზი.**

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, ცხინვალში მყოფი დელეგაცია ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე ოსური დელეგაციის ხელმძღვანელს ბორის ჩოჩიევსა და ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრს მურატ ჯიოევს შეხვდება.**

**შეხვედრაში ასევე მიიღებს მონაწილეობას მრჩეველი კონსტანტინე კოჩიევი, ადამიანის უფლებების დამცველი დავიდ სანაკოევი და ბორის ჩოჩიევის მოადგილე მერაბ ჩიგოევი, — იუწყება კომიტეტი და აღნიშნავს, რომ თანათავმჯდომარეების ვიზიტის პროგრამაში კოლექტიურ ცენტრებში ჩასახლებული დევნილებთან შეხვედრა იგეგმება.**

## ყარაბაღელი და ოსი სეპარატისტები დაყონაღდნენ

**ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და მთიან ყარაბაღს შორის საქმიანი ურთიერთობები დამყარდება. განცხადება ამის შესახებ ე.წ. სამხრეთ ოსეთის მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარემ მარინა ძიგოევამ გააკეთა.**

**აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისას, ოსური მედია აცხადებს, რომ მარინა ძიგოევა მთიან ყარაბაღში ჩატარებულ მეორე ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობდა. ძიგოევას თქმით, ფორუმი „გახდა ხიდი სამხრეთ ოსეთსა და მთიან ყარაბაღს შორის საქმიანი ურთიერთობების დამყარებისა“.**

**— შეხვედრებსა და პირად საუბრებში, რომლებიც ფორუმის ფარგლებში მიმდინარეობდა, მოგვეცა საშუალებაა იმისა, რომ ჩვენს შორის არსებული ურთიერთობების პერსპექტივები გაგვეანალიზებინა. ფორუმზე გამოითქვა მოსაზრება შემდეგი ეკონომიკური ფორუმის სამხრეთ ოსეთში ჩატარების შესახებ, იმედი მაქვს ეს ასეც მოხდება, — აცხადებს ძიგოევა.**

## სათამაშო ბიზნესში გადასახადები გაორმაგდება

**მთავრობა სათამაშო ბიზნესის გადასახადების გაორმაგებას ითხოვს. აღნიშნული ინიციატივა პარლამენტში ოფიციალურად გუშინ ბიუროს სხდომაზე დარეგისტრირდა, თუმცა როგორც მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი აცხადებს, აღნიშნული გადაწყვეტილება მთავრობამ აღებული სოციალური ვალდებულებების შესასრულებლად მიიღო.**

**მისი თქმით, საზოგადოების მოთხოვნით, მთავრობამ უარი თქვა ჯანდაცვისა და განათლების სფეროში გარკვეული საგადასახადო ტარიფის ცვლილებაზე, თუმცა მისი თქმით სათამაშო ბიზნესი არის ისეთი სფერო, რომელიც სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობას არ ეხება და შესაბამისად მთავრობა უპრიანად მიიჩნევს, რომ გადასახადები აღნიშნულ სფეროში გაორმაგდეს.**



**ტარიფებთან დაკავშირებით კი ჯერჯერობით არაფერია ცნობილი და სავარაუდოდ საკითხის ინიცირებისას გაცხადდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

**რა დღეში ვართ**

***ფულის შოვნის ბინძური მეთოდი, სხვის ხარჯზე უნამუსოდ გამდიდრების უკეთური გზა, თანამედროვე თაღლითების მახეში გაბმული ათასობით ადამიანი, გაუბედურებული ოჯახები, გაყიდული სახლები, ქუჩაში დარჩენილი ბავშვები, მოხუცები, ინვალიდები...***

***გული მოგიკვდება კაცს, როცა ერთ რიგით ქართველს, წარსულ წლებში ფრიად დამსახურებულ, დღეს კი მწარედ მოტყუებულ პიროვნებას დავით გვენეტაძეს მოუსმენ.***

# თაღლითების აუქციონ-დაუქციონი

***როგორ დატოვა უბინაოდ გამომძალველმა კარლო ჩაკვეტაძემ დავით გვენეტაძის ოჯახი***



2007 წლის 5 სექტემბერს დავითის შვილმა გოჩა გვენეტაძემ სამთვიანი იპოთეკური სესხი გააფორმა გიორგი ჩაკვეტაძესთან. ხელშეკრულება დაიდო 25 000 დოლარზე, თვეში 2 პროცენტის დარიცხვით და... 3 პროცენტიანი პირგასამტეხლოს გადახდით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე! სესხის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა გვენეტაძეების საცხოვრებელი სახლი თბილისში, დოლიძის ქუჩა № 41, I სადარბაზო, ბინა 11.

სესხის გაფორმების დღესვე გვენეტაძეებმა და მათმა უახლოესმა ნათესავებმა (კონკრეტულად კი გოჩა გვენეტაძის ძმისცოლმა ნატა გორგიძემ) გამსესხებლისგან მიიღო 23000 დოლარი, 2000 დოლარი კი დაუტოვეს პროცენტის დასაფარად. სექტემბრიდან მოყოლებული, ყოველთვიურად იხდიდნენ 1250 დოლარს, ისე რომ, 2008 წლის თებერვლის ჩათვლით ჩაკვეტაძეებს უკან დაუბრუნეს 13000 დოლარი.

არც მეტი, არც ნაკლები, ეს ნიშნავდა, რომ მსესხებელმა გამსესხებელს მთელი წლის (12 თვის) პროცენტი გადაუხადა.

მართალია, გამსესხებელი და ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი სრულიად ახალგაზრდა კაცი, სტუდენტი გიორგი ჩაკვეტაძეა, მაგრამ რეალურად ფულის პატრონია მისი ბაბუა კარლო ჩაკვეტაძე და მამა ზვიად ჩაკვეტაძე, რომლებმაც გვენეტაძეებს თანხა ასესხეს არა 2-პროცენტიანი სარგებლით, არამედ 5 (ხუთი). სწორედ ხუთ პროცენტზე გაანგარიშებით უწევდა ყოველთვიურად შვილიშვილსა და ბაბუას 1250 დოლარი.

**დღეს თბილისსა და მთელ საქართველოში ყველა გამსესხებელი აფერისტი ასე აკეთებს — ხელშეკრულებაში წერენ 2-პროცენტს, სინამდვილეში იღებენ მინიმუმ 5 პროცენტს. ამ თაღლითობის მთავარი მიზანი ის არის, რომ ფულის გამსესხებლებმა სახელმწიფოს მოგებიდან რაც შეიძლება ნაკლები თანხა გადაუხადონ!**

როგორც ბატონი დავით გვენეტაძე თვალცრემლიანი ამბობს, — იგრძნეს რა მსესხებელთა კეთილსინდისიერი გადახდისუნარიანობა, 2008 წლის აგვისტოში (როცა საქართველოში რუსული აგრესია მძვინვარებდა), ჩაკვეტაძეებმა სარჩელი შეიტანეს არბიტრაჟში...

არბიტრაჟის სხდომაზე შვილიშვილმა გიორგი ჩაკვეტაძემ უარი განაცხადა ბაბუამისისთვის საპროცენტო თანხების გადაცემის შესახებ (ხელშეკრულებას მე ვაწერ ხელს და არავითარი თანხა არ მინახავსო!).

სამწუხაროდ, გვენეტაძეებს კარლო ჩაკვეტაძისთვის გადაცემული საპროცენტო თანხების დამადასტურებელი ხელწერილები, ერთის მეტი არა აქვთ! ამიტომაც არბიტრაჟის (არბიტრი **ხათუნა დარჩიაშვილი**) გადაწყვეტილებით გვენეტაძეებს დაეკისრა ე.წ. პირგასამტეხლოს — 60 220 დოლარის გადახდა! ამ თანხის ამოღების მიზნით **„ყოვლისშემძლე" აღმასრულებელმა აუქციონზე გაყიდა გვენეტაძეების ბინა. ქუჩაში გამოყარეს 10 სული, მათ შორის სამი მოზარდი (მოსწავლე) და სამი პენსიონერი!**

ეს ტრაგედია ისე სწრაფად დატრიალდა, დაზარალებულმა გვენეტაძეებმა სულის მოთქმაც ვერ მოასწრეს. თუმცაღა, არბიტრის უმკაცრესი, მათი ოჯახის გამანადგურებელი გადაწყვეტილების გამოტანისთანავე ეგრეთ წოდებული შესაგებებელი სარჩელი შეიტანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს პოლიციის ქვეგანყოფილებაში (საქმეს იძიებდა **მიხეილ სუჯაშვილი**). დაიკითხა არაერთი მოწმე, ურთიერთდაპირისპირებული მხარეები. კარლო ჩაკვეტაძემ, ბოლოს და ბოლოს აღიარა, რომ შვილიშვილის დაუკითხავად გვენეტაძეებისგან მიიღო 7250 (!) დოლარი. სინამდვილეში კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მსესხებელმა გვენეტაძეებმა მას გადაუხადეს 13 000 დოლარი. აქედან 12250 საპროცენტო თანხა, 750 დოლარი კი, ვინმე შუამავალ ამიკოსთვის გადასაცემად...

გავიდა რამდენიმე თვე და... კარლო ჩაკვეტაძე ახალ ტყუილს „აცხობს" — 7250 დოლარი კი მივიღე, მაგრამ ეს თანხა გვენეტაძეებს აუცილებელი საჭიროებისთვის ვესესხე, როცა მეტყვიან მაშინვე დავუბრუნებო!

ამ ტყუილზე დაზარალებული გვენეტაძეები საკუთარ აღშფოთებას ასე გამოხატავენ:

**თუ თაღლითი არა ხართ, რატომ დაუმალეთ არბიტრს, რომ თუნდაც 7250 დოლარი მიღებული გქონდათ?**

**მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ რატომ აღიარეთ ამ საპროცენტო თანხის რეალობა?**

**რატომ და ვისი დავალებით შეცვალეთ პირვანდელი ჩვენება საპროცენტო თანხის ვითმოცდა „სესხების" შესახებ?**

მართლაც, ვინ დგას ამ თაღლითობის უკან, ვინ ანგრევს ისედაც შეჭირვებულ თანამოქალაქეთა ოჯახებს? ვის წისქვილზე უშვებს წყალს ჩვენი მართლმსაჯულება?

გვენატაძეებმა ჩვენი განცხადებით მიმართეს იუსტიციის სამინისტროს, გენერალურ პროკურატურას, პარლამენტის ანტიკორუფციული საბჭოს თავმჯდომარეს გიორგი თორთლაძეს...

„ზემოდან" ყველა განცხადება ქვემდგომებს ეგზავნებოდათ.

... თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა **ვანო ალუღიშვილმა** გვენეტაძეების გაუბედურება-განკულაკების საქმეზე — ანუ დავით და გოჩა გვენეტაძეების კუთვნილი თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე გამოიტანა ექვსგვერდიანი დადგენილება, რომლის დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ:

„სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიებით და მოპოვებული მტკიცებულებების საერთო ანალიზით არ გამოიკვეთა დანაშაულის ნიშნები, კონკრეტული პირის განზრახვა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაუფლებოდა სხვის ნივთს ან ქონებრივ უფლებას, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის, სისხლის სამართლის და სისხლის საპროცესო სამართლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტის დადგენილად მიჩნევისთვის აუცილებელია ერთმანეთთან შეთანხმებული, ეჭვის გამომრიცხავ, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობა. ყოველგვარი ეჭვი კი უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის (ეჭვმიტანილად ან ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემული პირის) სასარგებლოდ. რაც შეეხება 2008 წლის 5 აგვისტოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და მის შესაბამისობას, აღნიშნული წარმოადგენს სამოქალაქო დავის საგანს.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეზე (№ 007083630) შეწყდეს წინასწარი გამოძიება, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო"

**კარგი და პატიოსანი (თუმცაღა, სადღაა პატიოსნება, მორალი და ზნეობა), ბატონო პროკურორო! თუ კაცი, — ამ შემთხვევაში ეჭვმიტანილი კარლო ჩაკვეტაძე, საკუთარი აღიარებითვე ხელშეკრულებით გაფორმებულ 2 პროცენტიანი მოგების ნაცვლად 5 პროცენტს იჯიბავს, სახელმწიფოს ატყუებს, არბიტრაჟს ყალბ ცნობებს აწვდის, ჩვენებებს ცვლის, თანამოქალაქეებს ძარცვავს და ბინიდან უმოწყალოდ ყრის, არ არის დამნაშავე და მისი ქმედება მხოლოდ სამოქალაქო დავის საგანია? მართლაცდა, ვაი ჩვენს პატრონს!**

**ამიტომაცაა, რომ კარგად მიდის ჩვენი უსამართლო სამართლის საქმე, ამიტომაცაა რომ აიშვეს თაღლითებმა და ნაძირალებმა; ამიტომაცაა, რომ ქართული მართლმსაჯულებისა თითქმის აღარავის სჯერა. უპირველეს ყოვლისა კი — გაჭირვებულ ხალხს.**

**ნუთუ გვენეტაძეების ქონება, ჯანმრთელობა და ხვალინდელი დღეც თაღლითებს უნდა შეეწიროს?**

**ბოლოს და ბოლოს, სანამ უნდა გაგრძელდეს თაღლითებისა და სამართალდამცველების აუქციონ-დაუქციონი?**

სანდრო გიორგობიანი

**თვალსაზრისი**

# გაგონილა, საარჩევნო კოდექსში 2003-2010 წლებში 300-მდე ცვლილება შევიდა?!



***გესაუბრება ანტიკრიზისული საბჭოს ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში, ადვოკატი ლევან ადეიშვილი***

**— ბოლო ხანს საერთაშორისო განცხადებებში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით ტერმინმა „ოკუპაცია" დაიწყო დამკვიდრება. როგორ შეაფასებდით ამ ტენდენციას?**

— დადებითი ტენდენცია გახლავთ. ოკუპირებული ტერიტორიები საერთაშორისო სამართლით აღიარებული ტერმინია და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის დროებით დაკავებას ნიშნავს. 2008 წლის 28 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოცხადების შესახებ დადგენილება მიიღო და შემდგომში მიღებული იქნა კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. აქვე გეტყვით იმასაც, რომ ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი შემდგომი მოქმედებები მსოფლიო გამოცდილების აქტიური გამოყენებით ვაწარმოოთ.

**— ქართულმა მხარემ რუსეთთან დიალოგის დაწყების მზადყოფნის შესახებ განაცხადა. რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ ამ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რუსეთთან დიალოგის დაწყების პერსპექტივა?**

— ჩვენთან ურთიერთობებისას რუსეთის ძირითადი პრინციპი იყო - მიზანი ამართლებს საშუალებას, რაც ქართული მხარის პრინციპი არ უნდა გახდეს. ჩვენთვის მთავარია შედეგზე ორიენტირებული ქმედება. თუ დიალოგის დაწყებისთვის მზადყოფნა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობს, ყველა მოაზროვნე ადამიანისთვის უნდა იყოს მისაღები ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება.

**— რამდენად სასარგებლოდ მიგაჩნიათ ბოლო პერიოდში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები და ახალი საკადრო გადაწყვეტილებები?**

— პოლიტიკოსები და სახელმწიფო მოხელეები ხშირად საუბრობენ ხალხის სახელით და ყველას აქვს პრეტენზია, რომ სხვაზე მეტი იციან და ესმით, რა უნდა საზოგადოებას და ქვეყანას, რა პრობლემები აწუხებს ჩვენს მოქალაქეებს. მოქმედებს მრავალი ორგანიზაცია, რომელიც დაკავებულია ან უნდა იყოს დაკავებული სხვადასხვა მიმართულებებით საზოგადოებრივი აზრის, პოლიტიკური თუ ეკონომიკური გადაწყვეტილებების კვლევით და ანალიზით, ხოლო პოლიტიკოსებს თუ ხელისუფლების წარმომადგენლებს მხოლოდ არჩევნების დროს არ უნდა ახსენდებოდეთ კვლევის შედეგები, თანაც იმ საკითხების გასარკვევად, რამდენად მაღალია მათი პარტიის რეიტინგი და რამდენად არის შესაძლებელი ასეთი ტიპის კვლევების გამოყენება პიარ-აქციების ჩასატარებლად. საკითხები და პრობლემები, რაც საზოგადოებას აწუხებს, ხშირად უყურადღებოდ რჩება და უპირატესობა თანამდებობის თუ გავლენიან პირთა ჯგუფებს და მათ რეკომენდაციებს ენიჭება. სწორედ აქედან გამომდინარე, ხშირია არაადეკვატური დანიშვნები და სხვა, ქვეყნისათვის უარყოფითი შედეგის მომტანი გადაწყვეტილების მიღება.

იხ. 6 გვ.

თვალსაზრისი

# გაგონილა, საარჩევნო კოდექსში 2003-2010 წლებში 300-მდე ცვლილება შევიდა?!



(მეხუთე გვერდიდან)

**— დავუბრუნდეთ ისევ არჩევნების თემას და კანონმდებლობას. საერთაშორისო ორგანიზაციები თუ პოლიტიკური პარტიები ხშირად სვამენ საკითხს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და სამართლიანი გარემოს შექმნის შესახებ და შესაბამისად, საარჩევნო კოდექსის შეცვლის მოთხოვნით გამოდიან...**

— მიმაჩნია, რომ უახლოეს პერიოდში აუცილებელია შეიქმნეს სახელმწიფო კომისია, რომელიც კვალიფიციური სპეციალისტებისგან დაკომპლექტდება და აუჩქარებლად მოამზადებს საკანონმდებლო ცვლილებებს. მოგეხსენებათ, საარჩევნო კოდექსი სახელმწიფოს საარჩევნო სისტემის საბაზო პრინციპებს განსაზღვრავს და არეგულირებს ჩვენს ობიექტურ უფლებებს, არჩევნების პროცედურულ საკითხებს. დღეს მოქმედი საარჩევნო კოდექსი მიღებულია და მოქმედებს 2001 წლის აგვისტოდან, თუმცა მიღების შემდგომ 2003-2010 წლებში ამ კოდექსში 300-მდე ცვლილება შეიტანეს და ფაქტობრივად საარჩევნო კოდექსმა ახალი სახე შეიძინა. აქედან გამომდინარე, ჩვენ კონცეპტუალური ცვლილებები უნდა განვახორციელოთ ძირითად საკითხებში, როგორიც არის ამომრჩეველთა რეგისტრაცია, სიები და მისი ფორმირების წესი, საარჩევნო ადმინისტრაციის სისტემა და ფორმირება და ა.შ.

**— ქვეყანაში ძირითადი პოლემიკა საპრეზიდენტო და შერეული მოდელის მომხრეებსა და საპარლამენტო რესპუბლიკების მომხრეებს შორის მიმდინარეობდა. თქვენ რომელს ანიჭებთ უპირატესობას?**

— პირველ რიგში, საბაზისოდ საკონსტიტუციო კომისიას მიღებული აქვს შერეული მოდელი, ანუ საპარლამენტოს და საპრეზიდენტოს შერწყმული მოდელი. მოგეხსენებათ, საპრეზიდენტო რესპუბლიკებში უპირატესი ძალაუფლება ეკუთვნის პრეზიდენტს, რომელიც ირჩევა საერთო სახალხო არჩევნების გზით და აყალიბებს და ხელმძღვანელობს მთავრობას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტის ძალაუფლება შეზღუდულია ქვეყანაში არსებული კანონების ჩარჩოებში. საპარლამენტო რესპუბლიკებში ძალაუფლება ძირითადად ეკუთვნის საკანონმდებლო ხელისუფლებას — პარლამენტს, რომელიც, როგორც წესი, ირჩევს პრეზიდენტს და აკომპლექტებს მთავრობას. პრეზიდენტს ასეთ ქვეყნებში აქვს მხოლოდ ფორმალური ძალაუფლება, რეალურად კი სახელმწიფოს მეთაურს წარმოადგენს პრემიერ-მინისტრი, მთავრობის თავმჯდომარე, კანცლერი, ანუ არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი. საპარლამენტო რესპუბლიკები საპრეზიდენტოსგან განსხვავებით გამოირჩევიან ნაკლები სტაბილურობით, ხშირად ხდება მთავრობის შეცვლა და რიგგარეშე არჩევნები. მშვიდ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში ეს არ წარმოადგენს პოლიტიკურ დრამას და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის შეუმჩნეველი რჩება, მაგრამ საზოგადოებრივი კრიზისის დროს მთავრობის არასტაბილურობა შეიძლება გახდეს ფაქტორი სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოშლის. ასევე ხშირია ასეთ შემთხვევებში ავტორიტარული რეჟიმების წარმოშობა, რასაც ხელს უწყობს ხოლმე უბრალო საპარლამენტო უმრავლესობა. ამ თემებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ამიტომ მოკლედ გეტყვით — ქვეყანაში არსებული ეკონომიური და საზოგადოებრივი კრიზისიდან გამომდინარე, ასევე საგარეო საფრთხეების გათვალისწინებით, დღევანდელ სიტუაციაში მე საპრეზიდენტო მმართველობას ვუჭერ მხარს. თუმცა უნდა ითქვას, რომ დემოკრატიული პრინციპების და განვითარების პრიორიტეტების ქვეყნებში ყველა სისტემა გამართულად მუშაობს.

შეხვედრა-დიალოგი

# იმსჯელეს უზედამხედველო მოზარდებთან მუშაობის პრობლემებზე

**2010 წლის 30 ივნისს საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ოფისში გაიმართა შეხვედრა-დიალოგი მრგვალი მაგიდის ირგვლივ, რომელიც მიეძღვნა უზედამხედველოდ დარჩენილ მოზარდებთან მუშაობის პრობლემებს.**

აზრთა ურთიერთგაზიარებაში მონაწილეობდნენ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების, ბავშვთა უფლებების დაცვის, სახალხო დამცველის აპარატის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების სფეროების წარმომადგენლები, აგრეთვე, იურისტები, ფსიქოლოგები, ჟურნალისტები და სხვანი. ასოციაციის ხელმძღვანელების — მაია კვეზერელი-კოპაძის და ნელი გურგენიძის შეთავაზებით მსჯელობისათვის შეირჩა ორი ძირითადი საკითხი: პირველი — ქუჩაში უზედამხედველოდ დარჩენილ ბავშვებთან მუშაობისა და ბავშვთა დღის ცენტრების პრობლემები და მეორე — მცირეწლოვანთა დაცვა მასმედიის მავნე ზეგავლენისაგან.

წარმოდგენილი ინფორმაციებისა და აზრთა გაზიარების შედეგად აშკარად გამოიკვეთა უზედამხედველო მოზარდებთან მუშაობაში არსებული უმწვავესი პრობლემებისადმი ქვეყნის სახელისუფლო ორგანოების, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფართო საზოგადოების ყურადღების გამახვილების აუცილებლობა.

დიალოგის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ, რომელშიც აღნიშნულია:

„სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ ბოლო ხუთწლეულში განხორციელებული ზოგიერთი პოზიტიური ღონისძიების მიუხედავად სიმწვავე არ მოჰკლებია ქუჩაში უზედამხედველოდ დარჩენილ ბავშვთა პრობლემას. ბავშვთა სახლების კონტინგენტის განაწილებამ ოჯახებში და საოჯახო ტიპის ბავშვთა დღის ცენტრებში ვერ უზრუნველყო თუნდაც ბავშვთა სახლებში დარჩენილთათვის (1270 აღსაზრდელიძ ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული, აუცილებელი სააღმზრდელო-პედაგოგიური და ფსიქოლოგიური გარემოს შექმნა.

გაიზარდა არასრულწლოვანთა მიერ თანატოლთა მიმართ უხეშობის, სისასტიკის, ძალადობის გამოვლენის სისხლის სამართლი დანაშაულის ჩადენის შემთხვევები. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს უმძიმესი დანაშაულის — მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის რაოდენობის ზრდა (550-ზე მეტი შემთხვევა ბოლო ხუთწლეულშიძ.

უმწვავეს პრობლემად იკვეთება მასობრივი მედიის საშუალებათა, პირველ რიგში, სატელევიზიო გადაცემათა მავნე ზეგავლენა მოზარდების ფსიქიკაზე. ვაჟთა და გოგონათა შორის ბილწსიტყვაობის დამკვიდრებაზე, დაპირისპირების, დაუნდობლობის, სიძულვილისაკენ მიმართული გრძნობების გამომუშავებაზე. 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებში ჩატარებული გამოკითხვისას გოგონებიც და ვაჟებიც ერთნაირად განმარტავენ, რომ უწმაწური მეტყველების გამოყენების გარეშე ერთმანეთს ვერაფერს აგებინებენ, არ აინტერესებთ ეროვნული ტრადიციები, არ კითხულობენ ქართულ და უცხოურ კლასიკურ ლიტერატურას, არ გრძნობენ უხერხულობას ბილწსიტყვაობის გამო და ა.შ.

დიალოგის მონაწილენი ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს იმ მოსაზრებას, რომ მცირეწლოვანთა დაცვა მასმედიის მავნე ზემოქმედებისაგან საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებაა და მისი აღსრულებისათვის აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ (2004 წძ ბევრ ხარვეზს შეიცავს, რაც ხელს უწყობს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში ბავშვთა და მოზარდთა შორის ამორალობისა და დანაშაულებრივ მოქმედებათა წახალისების პროპაგანდას. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ სამსჯავროდ გამოტანილი საკითხები კი სათანადო ორგანოების მხრიდან რეაგირების გარეშე რჩება“.

ინფორმაცია

## თოთხმეტი ათასი პედაგოგი სერტიფიკატების ასაღებად ემზადება



**დღეს საქართველოში პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები იწყება. ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე ისაუბრეს.**

**შაშკინის განცხადებით, პედაგოგებს, რომლებიც ბარიერს გადალახავენ არა მხოლოდ ხელფასი მოემატებათ, არამედ მენტორ მასწავლებლად მუშაობის შესაძლებლობა მიეცემათ, რაც 160-ლარიან დანამატს გულისხმობს. ასევე, ისინი ჩაერთვებიან სამინისტროს პროგრამაში „ასწავლე საქართველოსთვის“, რომელიც გულისხმობს მასწავლებელთა მივლინებას რეგიონებში, სადაც პედაგოგები ხელფასთან ერთად, სტიპენდიის სახით 400-ლარიან დანამატს მიიღებენ.**

**როგორც ცნობილია, საქართველოში მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები პირველად ტარდება. პროცესი ნებაყოფლობითია, შედეგები — კონფიდენციალური. ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში, პედაგოგი გააგრძელებს მუშაობას და 2014 წლამდე მას რამდენჯერმე მიეცემა საშუალება გავიდეს განმეორებით გამოცდაზე.**

## ვინ უხელმძღვანელებს ტურიზმის დეპარტამენტს?




**მალე ტურიზმის დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ეყოლება. ტურიზმის დეპარტამენტს ხელმძღვანელის პოსტის დასაკავებლად ნებისმიერ მსურველს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მოუწევს. ამის შესახებ გუშინ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მინისტრმა ვერა ქობალიამ განაცხადა.**

**მისი თქმით, ცხადდება კონკურსი, რომლის მიხედვითაც პროექტ „საქართველოს ტურიზმისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარებისათვის“ შეირჩევა ხელმძღვანელი, რომელიც ავტომატურად ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახდება.**

**— ჩვენ ვიწყებთ ახალ ეტაპს ტურიზმის განვითარებისათვის და გეტყვით, რომ საქართველოს გააჩნია დიდი რესურსი მსოფლიო ტურიზმის წამყვან მონაწილედ ჩამოყალიბდეს. სწორედ ამიტომ ვაცხადებთ კონკურსს და ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მთავრობა ასეთი პოზიციის დასაკავებლად აცხადებს კონკურსს, — თქვა ვერა ქობალიამ.**

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონკურსისას აღარ იქნება ჩაწყობები და ნათესაური კავშირით ადამიანების პოსტზე დანიშვნის ალბათობა.**

**როგორც ქობალია განმარტავს, პროექტის მთავარი პრიორიტეტი იქნება ასევე ტურიზმის სფეროში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან ერთად და იმავდროულად ქვეყანაში არსებული განთავსების საშუალებების კლასიფიკაციის მოდელის შექმნა.**

**როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი აცხადებს, კონკურსის გამოცხადების მიზანია საქართველოს როგორც ტურისტული ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაცია, ხელი შეეწყოს ტურისტთა შემოყვანასა და შიდა ტურიზმის განვითარებას ქვეყანაში. ამასთან, პროექტი ხელს შეუწყობს ტურიზმის მარკეტინგის საერთაშორისო ბიზნესის ინოვაციური და სტრატეგიული კუთხით კვალიფიცირებული და კრეატიული კადრების გამოვლენას.**

## დააკავეს ყალბი დოკუმენტების დამზადებისთვის



**განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის პროდუქციაზე გამოწერილი ყალბი საგადასახადო დოკუმენტაციის დამზადება-რეალიზაციის ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს შპს „თიბისა“ და შპს „კოლხის“ მფლობელი ნუგზარ კვახაძე; აგრეთვე, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ლევან ჩიქობავა და ვალერი აბესაძე.**

**სამართალდამცველთა ინფორმაციით, კვახაძე ბოლო ორი წლის განმავლობაში ინტენსიურად ახორციელებდა ე. წ. „უსაქონლო ოპერაციებს“. ინტენსიურად ამზადებდა და იყენებდა ყალბად გამოწერილ სასაქონლო ზედნადებებსა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებს, რომელთა საშუალებითაც თავისი ფირმებისათვის ე. წ. „ყალბ ჩათვლებს“ იღებდა. ლ. ჩიქობავა და ვ. აბესაძე კი კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით ამზადებდნენ ყალბ სასაქონლო ზედნადებებსა და სალაროს ქვითრებს.**

**სამართალდამცველებმა ისინი ამ ყალბი დოკუმენტაციის რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს. საერთო ჯამში აღნიშნულმა პირებმა დაამზადეს და გაასაღეს ყალბი საგადასახადო დოკუმენტაცია 500 000 ლარზე მეტი ღირებულების პროდუქციაზე, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა.**

**მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით.**

ჯი-ეიჩ-ენი

პორტრეტი

***პატარა ტყუპი ძმები ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ მათი ადვილად გარჩევა შეუძლებელი იყო, ამიტომ გამოსავალიც გამოინახა — ერთსაც და მეორესაც „გოგილადოს“ ეძახდნენ. ახლა ისინი — გოგი და ლადო, 70 წელს მიტანებულნი ისე ძალიან როდი ჰგავანან ერთმანეთს, რადგან ცხოვრებამ, გარემომ ორივეს საკუთარი დაღი დაასვა.***

***ცნობილი არქიტექტორის ლადო ალექსი-მესხიშვილის ვაჟები იშვიათად თუ იყრიან თავს ერთად, რადგან ბატონი ლადო ორმოც წელიწადზე მეტია უცხოეთში მოღვაწეობს, ამჟამად ბერლინის გულის ქირურგიის ცენტრში მუშაობს, ახალშობილთა უძლიერესი ქირურგია, ხოლო მეორე ძმა — გოგი, რუსთაველის თეატრის მხატვარი, წელიწადიდან მხოლოდ 5 თვეს თუ ატარებს თბილისში, ამერიკაში ლექციებს კითხულობს და სტუდენტებს ხელოვნების საიდუმლოებას აზიარებს. ლადო ალექსი-მესხიშვილს ვაჟი ჰყავს, რომელიც გერმანიაში ცნობილი ფოტოგრაფია, ხოლო გოგის — ქალიშვილი, ისიც ცნობილი ფოტოგრაფია, ოღონდ პარიზში მოღვაწეობს.***

***ამ ზაფხულს ძმებმა თბილისში ერთად ჩამოსვლა მოახერხეს. შემოიარეს საქართველოს ულამაზესი მხარეები, მეგობრებთან ერთად მუსაიფი და უსამშობლობით გამოწვეული სევდის გაქარვებაც შეძლეს.***

***ჩვენ ამით ვიხელთეთ და ძმებს ბატონ გოგის სახელოსნოში ვეწვიეთ. მათთან სერბი ღვთისმეტყველი ბრძანდებოდა სტუმრად, რომელიც ყაზბეგში ყოფნისას გაუცნიათ და სამომავლო გეგმებზე ესაუბრებოდნენ.***

***სტუმართან ბატონი გოგი დარჩა, ხოლო ეზოში, ჩრდილქვეშ ბატონმა ლადომ, ჩვენმა ფოტოგრაფმა და მე მოვიკალათეთ. ისე უშუალოდ გავაბით საუბარი, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით...***

# სად უნდა დავბრუნდე, 69 წლისა ვარ, იქ ხალხს ვჭირდები, საქართველოში კი - არავის!

**— ხშირად ვერ ახერხებთ არა, სამშობლოში ჩამოსვლას, ბატონო ლადო?**

— ვერა, შვებულებით ვსარგებლობ და ასე, წელიწადში ერთხელ თუ ჩამოვალ.

**— თქვენს შვილს თუ უწევს ხოლმე ხშირად ჩამოსვლა?**

— არა, ის კიდევ უფრო დაკავებულია, სამოდელო ბიზნესშია ჩართული და გაუთავებლად გადაღებები აქვს ხოლმე...

**— როგორც ვიცით, ხელცარიელი არასოდეს ჩამოდიხართ, სამედიცინო ცენტრებს ეხმარებით...**

— ვიცი, რამდენი დახმარება სჭირდება საქართველოს სამედიცინო კუთხით. გასულ წელსაც და ახლაც ჩამოვიტანე სამედიცინო ტექნიკა, მონიტორები, ძალიან კარგი ბიბლიოთეკა გადავეცი უნივერსიტეტს, მაგრამ...

**— მაგრამ რა, თითქოს გულგატეხილი ხართ?**

— არა, არავის სასაყვედუროდ არ ვამბობ... უბრალოდ, არა მგონია, იმდენი გამოცდილება ჰქონდეს ვინმეს, რამდენიც მე დამიგროვდა. 40 წელზე მეტია ამ დარგში ვარ, ასპირანტურა მოსკოვში დავამთავრე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის შემდეგ, 1989 წლამდე მოსკოვში ვმუშაობდი, შემდეგ ბერლინში მიმიწვიეს, გულის ქირურგიის ცენტრის დირექტორის მოადგილე ვარ. მეგონა, საქართველოში ჩემი გამოცდილება დააინტერესებდათ, მაგრამ სწორედ იმ კლინიკებს, რომელთაც დავეხმარე, ჩემს მიმართ ინტერესი არ გამოუჩენიათ. რესპუბლიკურ საავადმყოფოში ორი დღის წინათ ქალბატონს გავუკეთე გულის ოპერაცია. იქ მართლაც ნიჭიერი ახალგაზრდები დამხვდნენ, ამიერიდან მათ დავეხმარები და ხელს ყველანაირად შევუწყობ.

**— ალბათ, მეტ დაფასებას მოელოდით, არა?**

— დაფასებისთვის და მადლობის მისაღებად არ გამიკეთებია. ასე რომ მდომებოდა, უამრავი სხვა ქვეყანაა, რომელიც დახმარებას ითხოვს და ტექნიკას იქ გავაგზავნიდი. უფასო დახმარებაზე უარს ვინ იტყვის. მე ის უფრო მინდა, რომ ცოდნის გაზიარება მთხოვონ, გართულებული შემთხვევები მანახონ, გავარჩიოთ, ვიმსჯელოთ, უცხო ქვეყნის მეთოდები გავაცნო. დაველაპარაკები, ამასაც ხომ ფული არ უნდა, არა?! მაგრამ ეტყობა, ქართველების სენია ასეთი, უცხოელს უფრო იწვევენ, წოდებებს აძლევენ და ა. შ. ეს ყველაფერი მე მაქვს, უბრალოდ...

## სად იყრებიან და ერთდებიან ტყუპი ძმების ცხოვრების გზები?

**— არავის მიუწვევიხართ საქართველოში ლექციების წასაკითხად, თუ თქვენ უფრო პრაქტიკოსი ექიმი ბრძანდებით?**

— ჩემი ლექციები სტუდენტებისთვის არ არის განკუთვნილი, ის უკვე ჩამოყალიბებული სპეციალისტებისთვის იკითხება.

**— რა არის ამის მიზეზი, რატომ არ დაინტერესდნენ თქვენით?**

— არ ვიცი, იქნებ ამპარტავნობით მოსდით. ეს ყველაზე ცუდი თვისებაა. ზოგადად ექიმი თავისთავს ავადმყოფზე მაღლა არ უნდა აყენებდეს. პაციენტისთვის საკუთარი სიცოცხლე ყველაფერზე მთავარია...

**— გარკვეული წარმოდგენა გექნებათ, ალბათ, საქართველოს სამედიცინო სფეროზე. ჩვენთან ძალიან ძვირია ჯანმრთელობის დაცვა.**

— ყველგან ძვირია, მაგრამ ამისთვის არის სადაზღვევო სისტემები. იმას, რაც 15-20 წლის წინათ იყო, თანამედროვე ქართული მედიცინა ბევრად სჯობს, მაგრამ უკვე უნდა იყოს ჩამოყალიბებული სისტემა, რაც არა გვაქვს. მიზეზი არ ვიცი, ყოველ წელს რეფორმებს ატარებენ, მინისტრებს ხშირად ცვლიან. მოდელად უცხო ქვეყნის გამოცდილებას იყენებენ, ამერიკის ან ევროპის განვითარებული ქვეყნების, არადა იმათგან ჯერ ისე შორსა ვარ, როგორც მთვარისგან.

**— ბერლინიდან, იმ გადმოსახედიდან როგორი ჩანს ჩვენი პოლიტიკა?**

— მაინცდამაინც ბევრი არაფერი იციან საქართველოზე...

**— აგვისტოს ომზეც?**

— ომი, კატასტროფა, ბუნებრივი კატაკლიზმები მათთვის ორი დღის „საჭმელია“, მერე ეს ყველაფერი ავიწყდებათ... სამსახურში პოლიტიკაზე არავინ საუბრობს. ხოლო თუკი ვინმე დიალოგს დაიწყებს, მას უფრო შიდა პოლიტიკა აინტერესებს,



რაც ძირითადად ეკონომიკით და სოციალური სფეროთი განისაზღვრება. ისიც უნდა გითხრათ, რომ რუსეთს ევროპელები ძალიან პრაგმატული თვალით უყურებენ. ზოგიერთი ჩემთან საუბარში დიდ სიმპათიას გამოხატავს ჩვენს მიმართ, რუსეთისადმი კი ანტიპათიურად არის განწყობილი, ზოგიც — პირიქით...

**— იქ, ალბათ, ბევრი მეგობარი გყავთ?**

— რას ნიშნავს მეგობარი? მეგობარი ის არის, ვისაც დიდი ხანია იცნობ, ვისაც შეიძლება წლების განმავლობაში ვერ ნახულობდე, მაგრამ რაღაც მომენტში, ვთქვათ გასაჭირისას დაურეკო და დახმარება სთხოვო, ან რჩევა. იმიტომ, რომ იცი, არ გიღალატებს. მეგობრებს გარკვეული ასაკის მერე ვერ იძენ. ევროპაში ბევრი ნაცნობი მყავს, კოლეგები, მაგრამ ჩემი მეგობრები საქართველოში არიან...

**— არ აპირებთ აქ დაბრუნებას?**

— არა, სად უნდა დავბრუნდე, უკვე 69 წლისა ვარ. პენსიაზე გასვლის შემდეგ კლინიკაში დამტოვეს, იქ ვჭირდები, აქ კი არავის ვჭირდები...

ამასობაში სერბი სტუმარი გააცილა და ბატონი გოგიც შემოგვიერთდა. გერმანიაში განთქმული ქართველი ქირურგი ადამიანის სიცოცხლესთან აქვს საქმე, რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება უწევს...

**— ბავშვობაშიც განსხვავებული იყავით, რადგან სხვადასხვა პროფესია აირჩიეთ?**

— ორივეს ჩვენი გვარის ტრადიციები გამოგვყვა. ჩვენი წინაპრები ექიმები იყვნენ და ასევე ხელოვნების სფეროში იყვნენ განთქმული. ლადოს მათემატიკა იზიდავდა, თუმცა ხელოვნებაც ძალიან უყვარს, მე თავიდანვე ვხატავდი.

ჩვენზე დიდი გავლენა ოჯახმა იქონია, ვიდრე სკოლამ, „პიონერთა სასახლე“ უფრო კარგად მახსენდება. მამამ სპორტით დაგვაინტერესა. საქართველოს ყოველი კუთხე შემოვლილი გვაქვს, იქიდან დაგვყვა ბუნებისადმი სიყვარული.

**— მაგრამ ჭაბუკობიდან გაიყარეთ...**

— მას შემდეგ, რაც ლადომ ასპირანტურაში ჩააბარა მოსკოვში.

**— თქვენ უფრო ხშირად ხართ საქართველოში?**

— რა თქმა უნდა, რუსთაველის თეატრის მთავარი მხატვარი ვიყავი, ახლა დროის სიმცირის გამო მხატვარი ვარ.

**— ვინ მიგიწვიათ თეატრში?**

— სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ რობერტ სტურუამ მიმიწვია. შექსპირის დაგვემშვიდობა, თუმცა იქამდე ძმებს სურათი ჩვენმა ფოტოგრაფმა გადაუღო. ბატონი ლადო უშუალოდ იღიმება. მას ევროპელებისთვის დამახასიათებელი მიმიკები აშკარად დაჰკრავს. სათქმელი გულახდილად თქვა და წავიდა...

**— ბატონო გოგი, იმის მიუხედავად, რომ ტყუპები ხართ, მომეჩვენა, რომ განსხვავებული ხასიათები გაქვთ, არა?**

— დიახ, მაგრამ ამაზე გავლენა, ალბათ, ჩვენმა პროფესიამ იქონია. მე, როგორც თეატრის მხატვარს, ურთიერთობა მსახიობებთან მაქვს. ისინი ბავშვებივით არიან, მუდამ უნდა ეფერო და მოუფრთხილდე. ლადოს კი თითქმის ყველა სპექტაკლი ჩემი გაფორმებულია. 40-ზე მეტი დადგმა გავაკეთეთ ერთად. აქტიურად ვმუშაობ თემურ ჩხეიძესთან. ორივე სრულიად განსხვავებული სტილის რეჟისორია, მაგრამ მე უკვე კარგად ვიცნობ მათ ხედვას.

ამჟამად სანკტ-პეტერბურგში ვმუშაობთ მე და რობერტი სპექტაკლ „ქარიშხალზე“.

**— მაგრამ პარალელურად მუშაობთ როგორც დამოუკიდებელი შემოქმედი.**

— დიახ. უამრავი გამოფენა მქონდა რუსეთში, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

**— თან ლექციების კითხვასაც ახერხებთ. რამდენად განსხვავდებიან ქართველი და უცხოელი სტუდენტები?**

— ნიჭიერები არიან, განსხვავება ამაში არ არის, მაგრამ საზღვარგარეთ ძალიან მაღალია სწავლების დონე, იქ სულ სხვა პირობებში უწევთ ახალგაზრდებს სწავლა. ამ მხრივ ბევრად კარგი და მოწესრიგებული სისტემა აქვთ.

**— თქვენ რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?**

— საბოლოოდ საქართველოში დავმკვიდრდები. ძალიან მინდა, სკოლა ჩამოვაყალიბო, თეატრის მხატვრებისთვის. ჩვენ ამ დარგში ერთ-ერთი საუკეთესონი ვიყავით და მინდა, ეს ტრადიცია არ დაიკარგოს, კიდევ უფრო აღორძინდეს.

**— თქვენც უნდა გკითხოთ პოლიტიკაზე. რას ფიქრობენ საქართველოზე ამერიკაში და რას ამბობენ ჩვენზე რუსეთში?**

— რაც უნდა იყოს, ამერიკა თავისუფალი ქვეყანაა, რუსეთი კი — მონური. მაგრამ ჩვენზე რუსეთში გაცილებით მეტს ფიქრობენ, ვიდრე ამერიკაში. იქ ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტზე მეტად, მექსიკის ყურეში ჩაღვრილი ნავთობი აღარდებთ. საშინელი კატასტროფა მოხდა, ხალხი ზარალობს...

**— რუსეთში მგონი, არ იგრძნობა გაუცხოება კულტურის მუშაკებს შორის...**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ხელისუფლების პროპაგანდის გავლენა ძალიან ძლიერია. ვიწრო საუბრებში ყველა მხარს გვიჭერს ქართველებს, მაგრამ ხმამაღლა ამის აღიარების ერიდებათ. ხელისუფლება იმდენად კარგ პირობებს უქმნის კულტურის სფეროში მოღვაწეებს, რომ აშკარა დაპირისპირება და წინააღმდეგობის გაწევა არავის უნდა...

* * *

**ძმები კიდევ რამდენიმე დღე დაყოვნდებიან თბილისში.... საქართველოში მოგზაურობით გულს რომ იჯერებენ, არდადეგებიც ამოეწურებათ, ერთი კვლავ გერმანიას მიაშურებს, მეორე — ამერიკის შეერთებულ შტატებს. სამშობლოში ქართველთა საერთო ჭირ-ვარამს იზიარებენ, შემოუძახებენ ხოლმე თანამოძმეებს, მაგრამ უცხო ცის ქვეშ იმ დღეზე ოცნებობენ, როდის გამოექცევიან მშფოთვარე და დაუდგომელი თანამედროვე ცხოვრების რიტმებს და როდის შეაფარებენ თავს თბილისის პატარა ეზოს, ბაღის ხეების ჩეროს.**

**შეხვედრამდე, გოგილადო!**

**თეა მოსია.**

მურად ალაშვილის ფოტო

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კავკასიის ქვაბი

**გამოსასვლელ დღეებში, რომლებიც 4 ივლისს დაემთხვა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა მოიარა ზოგიერთი მეტად საინტერესო ადგილი. მისი მარშრუტი მოიცავდა პოლონეთსა და უკრაინას – ორივე ქვეყანას აქვს დამაინტრიგებელი არჩევანი, თუ გავითვალისწინებთ ობამასა და მედვედევის ამასწინანდელ მოლაპარაკებას ვაშინგტონში. მაგრამ იგი იყო აგრეთვე რეგიონში, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პრაქტიკულად გაქრა ამერიკის სტრატეგიის რადარებიდან, როდესაც მოინახულა საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი**

პოლონეთში შეჩერება დაემთხვა ახალი ხელშეკრულების ხელმოწერას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ და იგი მიზნად ისახავდა ამერიკა-პოლონეთის ურთიერთობათა მხარდაჭერას გერმანია-რუსეთის განხილვის წინაშე. შეჩერება უკრაინაში მიზნად ისახავდა, უბრალოდ, ქვეყანაში თავის ყოფნას, ქვეყანაში, რომელიც სწრაფად მიექანება რუსეთის ორბიტისკენ. ორივე შემთხვევაში ვიზიტის ცენტრში რუსები იყვნენ. იმისგან დამოუკიდებლად, თუ რამდენად თბილი იყო ატმოსფერო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის, ფაქტი ფაქტად რჩება: რუსეთი აგრძელებს თავისი რეგიონალური გავლენის აღდგენას და სარგებლობს ევროპის არამყარობით, რათა ააგოს იქ თავისი ურთიერთობანი. ამერიკის შეერთებული შტატები კი ძველებურად ირანითა და ავღანეთითაა დასაქმებული, აქვს შეზღუდული დამატებითი პოტენციალი, რომელიც შეიძლება გამოიყენოს რუსეთის წინაშე დაპირისპირებისთვის. არც ერთნაირ ატმოსფეროს არ შეუძლია დაფაროს ეს ფაქტი, მით უმეტეს, პოლონელებისა და უკრაინელებისგან. ასე რომ, თუ ამას არ ვუწოდებთ მნიშვნელოვან წვლილს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ვიზიტი გახდა სიმბოლური წვლილი. მაგრამ იქ, სადაც არსებითი ცოტაა, სიმბოლოებსაც აქვს მნიშვნელობა.

ის ფაქტი, რომ პოლონეთში და უკრაინაში ყოფნა ერთობ ცხადად იყო დაკავშირებული რუსეთთან, საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში შეჩერებას ხდის უფრო მეტად საინტერესოს. კლინტონის განცხადებანი, რომლებიც მან გააკეთა კავკასიის ტურნეს დროს, იყო დადებითი, როგორც ამას უნდა დავლოდებოდით კიდეც. მან მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს, თუმცა ამ დროს არ დაპირებია არავითარი ამერიკული იარაღის მიწოდებას, რაც საქართველოს შეეძლო გამოეყენებინა რუსეთის ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც განლაგებული არიან ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონებში. აზერბაიჯანსა და სომხეთში მან ორივე ქვეყანას მოუწოდა გადაჭრან კონფლიქტი მთიან ყარაბაღში. სომხეთმა ძალის გამოყენებით აიღო ეს სადავო რეგიონი, რომელიც მდებარეობს აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. აზერბაიჯანისთვის მთიანი ყარაბაღის დაბრუნება გაეროს რეზოლუციის შესაბამისად – ეროვნული უშიშროებისა და პოლიტიკური სტრატეგიის ფუნდამენტური საკითხია. სომხეთისთვის მთიანი ყარაბაღის ჩამოშორება პოლიტიკურად შეუძლებელია.

ეს ნიშნავს, რომ კლინტონის მოწოდება მოლაპარაკებისკენ და მისი წინადადება ამერიკული დახმარების შესახებ, არ შეიძლება იყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საკითხი შეეხებოდა იმას, რომ ვაშინგტონს მიეღო მონაწილეობა მრავალმხრივ და არა ორმხრივ მოლაპარაკებაში. ეს განსაკუთრებით სწორია იმ თვალსაზრისით, რომ კლინტონმა, როგორც ჩანს, მიუთითა იმაზე, რომ თურქეთ-სომხეთის მოლაპარაკების ჩაშლა გახდა თურქეთის მოქმედებათა შედეგი, და, რომ სწორედ თურქეთმა უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯი. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ზედაპირულად მისი ვიზიტი, როგორც ჩანს, იყო ნაკლებად შედეგიანი – და არავითარი განსაკუთრებული შედეგები არც იყო ნავარაუდევი – საკმარისია ამისთვის დავკარგოთ ცოტა დრო, რომ გავიგოთ, რისთვის წავიდა იგი საერთოდ იქ, რა არის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა.



### კავკასიის სტრატეგიული მნიშვნელობა

კავკასია ეს არის ადგილი, სადაც ერთმანეთს ხვდებიან რუსეთი, ირანი და თურქეთი. მე-19 საუკუნის უმეტეს პერიოდში ეს სამი სახელმწიფო იბრძოდა რეგიონში ბატონობისთვის. ეს დავა გაიყინა საბჭოთა პერიოდში, მაგრამ ამჟერად ყველაფერი კვლავ ამოქმედდა. არც ერთი ეს პირველხარისხოვანი სახელმწიფო არ მართავს პირდაპირ რეგიონს, მაგრამ არის მეორეხარისხოვანი მეტოქეობა სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მონაწილეობით. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რეგიონში ერთმანეთში არიან გადახლართულნი რუსები, ირანელები და თურქები, მსოფლიო სახელმწიფოს (ამერიკის შეერთებული შტატებისძ ინტერესი მისადმი გარდაუვალია – ამასთან არის დაკავშირებული სწორედ ჰილარი კლინტონის ვიზიტიც.

მსოფლიოს ყველა რეგიონიდან კავკასია ერთ-ერთი ყველაზე სისხლით სახიფათოა. ის იზიდავს დიდ სახელმწიფოებს და შეერთებულ შტატებს. ამჟამად იქ სიმშვიდეა, მაგრამ, როგორც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე 1990 წელს, სიმშვიდე ყველა მოთამაშეს როდი ამშვიდებს. ამრიგად, ჩვენ საქმე გვაქვს შვიდ მოთამაშესთან ერთ მეტად პატარა რეგიონში. კავკასია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქვაბი, რომელსაც ჩარჩოდ აკრავს რუსეთი, ირანი და თურქეთი და, რომელიც პერიოდულად აინტერესებს ვაშინგტონს, რომლისთვისაც თითოეულს ამ სამი დიდი სახელმწიფოდან აქვს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა.

კავკასიის რეგიონი პატრონობს სახმელეთო ზღუდარს შავ და კასპიის ზღვებს შორის. ეს ზღუდარი ერთმანეთს აერთებს თურქეთს და ირანს რუსეთის სამხრეთით, რეგიონი გაყოფილია ორი მთიანი ქედით, მთავარი კავკასიის ქედით ჩრდილოეთში და მცირე კავკასიის ქედით სამხრეთით, და ორი დაბლობით, რომლებიც ერთი-მეორისგან არიან გამოყოფილები – ერთი იმყოფება საქართველოს დასავლეთში შავი ზღვის პირას, მეორე, უფრო დიდი, აზერბაიჯანის აღმოსავლეთით, მდინარე მტკვრის სანაპიროზე. ვიწრო მდინარის ხეობა კვეთს საქართველოს, აერთიანებს ორ დაბლობს.

საქართველო ესაზღვრება უმეტესწილად რუსეთის საზღვარს. იმ ქაოსის პერიოდში, რაც მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლას, საქართველოს სხვადასხვა რეგიონი შეეცადა მისგან გამოყოფას რუსეთის მხარდაჭერით. საქართველოს თვალსაზრისით, რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს. მაგრამ, რუსეთის თვალსაზრისით, საქართველო წარმოადგენს ორმაგ საფრთხეს. ჯერ ერთი, რუსებს ეჭვი ჰქონდათ ქართველებზე იმაში, რომ 1990-იან წლებში ისინი მხარს უჭერდნენ ჩეჩენ მეამბოხეებს. ქართველები ამ ბრალდებას უარყოფენ. მეორე და უფრო მნიშვნელოვანი საფრთხე იყო ის, რომ შეერთებულმა შტატებმა საქართველო თავის ძირითად მოკავშირედ აირჩიეს რეგიონში. ეს არჩევანი გონივრული იქნებოდა, თუ შეერთებული შტატები განახორციელებდა რუსეთის გარემოცვის პოლიტიკას, სწორედ 1990-იან წლებში აკეთებდა ამას ვაშინგტონი (თუმცა 2001 წლის შემდეგ ერთგვარად უარი თქვა ამ სტრატეგიაზეძ.

რუსები ასევე მხარს უჭერდნენ მჭიდრო ურთიერთობას სომხეთთან, სადაც ძველებურად განთავსებულია 3 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე. სომხები დიდი მტრული განწყობილებით ეკიდებიან თურქებს და მოითხოვენ, რომ თურქეთმა აღიაროს სომხების მასობრივი ხოცვა 1915-16 წლებში. სომხები და თურქები ამას წინათ აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ურთიერთობის ნორმალიზაციასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს მოლაპარაკება ჩაიშალა – ჩვენი თვალსაზრისით, ეს მოხდა რუსეთის ჩარევის გამო. ეს საკითხი იყო კიდევ უფრო გართულებული, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის კომიტეტმა მარტში მოიწონა რეზოლუცია, რომელიც გმობდა თურქეთს სომხების გენოციდის გამო, რამაც, თავის მხრივ, თურქების რისხვა გამოიწვია.

ამერიკის სტრატეგიამ ასევე უნდა მოიცვას საქართველო, მაგრამ საქართველო ყოველთვის იყო რუსეთზე უფრო სუსტი, და თუ შეერთებული შტატები არ არის მზად განათავსოს იქ დიდი ფორმირებანი, რუსებს შეუძლიათ იმოქმედონ – ღიადაც და ფარულადაც, როგორც მოესურვებათ. ქართული სტრატეგია ძლიერ ზურგს ითხოვს, როგორიცაა აზერბაიჯანი – არა მხოლოდ სტრატეგიული თვალსაზრისით, არამედ, როგორც საქართველოში ინვესტიციების წყაროც. ურთიერთობა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის კარგია, და ხანგრძლივ პერსპექტივაში იგივე შეიძლება ითქვას თურქეთის დამოკიდებულების შესახებ ორივე ამ ქვეყანასთან.

აზერბაიჯანისთვის უმწვავესი პრობლემაა მთიანი ყარაბაღი. შეერთებული შტატებისთვის ეს მტკივნეული საკითხია, მაგრამ სტაბილური პლატფორმის შექმნა რეგიონში არის სწორედ ასეთი. სომხეთი, ყველაზე სუსტი ქვეყანა ეკონომიკური თვალსაზრისით, სამოკავშირეო ურთიერთობაშია რუსეთთან, და მის ტერიტორიაზე განლაგებულია რუსეთის ჯარები. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ აინტერესებს ვინ მართავს მთიან ყარაბაღს და, რომ არის გაეროს რეზოლუცია აზერბაიჯანის სასარგებლოდ, ძნელია იმის გაგება, თუ ვაშინგტონი დღემდე არსებითად რატომ რჩება ნეიტრალურად ამ საკითხში. თუ შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს, რაც ვაშინგტონის ოფიციალური პოლიტიკაა, აქედან უნდა დავასკვნათ, რომ თეთრი სახლის უნარი ააგოს თავისი ურთიერთობანი რუსეთთან, ირანთან და თურქეთთან, სასარგებლო გახდება მჭიდრო ურთიერთობისთვის აზერბაიჯანსა და შეერთებულ შტატებს შორის.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსი ერთი თვის წინათ იყო აზერბაიჯანში, კლინტონი კი ჩავიდა გასულ უქმე დღეებში. რა რთულადაც უნდა მოეჩვენოს გარედან მაყურებელს ამ რეგიონის პოლიტიკა, მისი მნიშვნელობა შეერთებული შტატებისთვის ცხადად იზრდება. შეიძლება ასე ითქვას: მსოფლიომ არაფერი იცოდა ბოსნიისა და კოსოვოს შესახებ, სანამ იქ ომი არ მოხდა. მთიანი ყარაბაღი, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ასევე უცნობია დღეს. მაგრამ ისინი უცნობებად არ დარჩებიან, თუ მიღებული არ იქნება სტრატეგიული მოქმედებანი. ჩვენთვის ჯერჯერობით გაურკვეველია, იყო თუ არა კლინტონის მგზავრობა უბრალო ზრდილობის ვიზიტი, თუ მას განზრახული ჰქონდა რაიმე სტრატეგია. მაგრამ ამერიკის პოზიციის პოლიტიკა არის ის, რომ ჩვენ უნდა განვიხილოთ კავკასია სტრატეგიულად, და ამ შემთხვევაში ლოგიკა და რეგიონალური დინამიკა მიუთითებენ აზერბაიჯანთან მჭიდრო ურთიერთობის აუცილებლობაზე.

STRATFOR

## დედამიწის ზურგზე



**ვარშავაში მოახდინეს სმოლენსკთან ტუ-154-ის კატასტროფის ინსცენირება, მას „პოლიტიკური მკვლელობა“ უწოდეს**

ოპოზიციონერებმა მოითხოვეს ავიაკატასტროფის მიზეზების დამოუკიდებელი საერთაშორისო გამოკვლევა. ერთ-ერთი ლოზუნგის შინაარსი ასეთი იყო: „10.04. პოლიტიკური მკვლელობა. ცხედრებზე გავლით – ხელისუფლებისკენ“. აქცია მოაწყვეს იაროსლავ კაჩინსკის მომხრეებმა. დაღუპული პრეზიდენტის ტყუპისცალმა წააგო არჩევნები.

* * *

**აშშ ააგებს სამხედრო ბაზას უზბეკეთის საზღვარზე, რომ დამკვიდრდეს ცენტრალურ აზიაში**

მასშტაბური სამხედრო ობიექტი განთავსდება ავღანეთის ტერიტორიაზე უზბეკეთის საზღვრიდან 56 კილომეტრში. უზბეკეთში გაჩნდება რამდენიმე საკონტროლო-გამტარი პუნქტი. ამ დროს ამერიკის შეერთებული შტატები ახალ ელჩს გზავნის ამ ქვეყანაში და აძლიერებს ორმხრივ ურთიერთობას.



* * *

**ჩილეში მოხდა მიწისძვრა 6,2 მაგნიტუდით**

მიწისქვეშა სტიქიის ეპიცენტრი მდებარეობდა ქალაქ კალამის ჩრდილოეთით 79 კილომეტრში, მისი კერა იყო 91 კილომეტრის სიღრმეზე. შედეგების შესახებ ცნობები არ შემოსულა. თებერვალში ჩილეში მოხდა დამანგრეველი მიწისძვრა 8,8 მაგნიტუდით, რომელმაც 600-ზე მეტი კაცის სიცოცხლე შეიწირა.

* * *



**ყირიმში სტარტი აიღო ნატოს ანტიმეკობრულმა სწავლებამ**

სწავლება გაგრძელდება 12-დან 23 ივლისამდე. მასში მონაწილეობას მიიღებენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ზოგიერთი ქვეყანა, აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა სამხედროები. ეს სწავლება საზოგადოების დიდ პროტესტს იწვევს. შარშან სწავლება გააუქმეს.

* * *

**წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში დამთავრდა მზის სრული დაბნელება**

დაბნელების სრული ფაზა დაიწყო დედამიწაზე წინა დღით კუნძულ ტონგის სამხრეთ აღმოსავლეთით 700 კილომეტრზე. რუსი ასტრონომები მოვლენას პასქის კუნძულზე ადევნებდნენ თვალყურს. ეს წლეულს მზის ერთადერთი სრული დაბნელება იქნება.



# შეიძლება პრევენტიული ომები და წინმსწრები დარტყმები გამართლებული იქნეს?

**პროექტში „ფრთხილად, ისტორიაა“ მორიგი დისკუსიის საბაბი გახდა დასავლეთის ფრონტის სარდლის დიმიტრი პავლოვის დაპატიმრებისა (და მალე დახვრეტის) თარიღი – 1941 წლის 4 ივლისი. ყველამ ვიცით წითელი არმიის კატასტროფული განადგურების შესახებ ომის პირველ თვეებში, მაგრამ დღემდე მიდის დავა, ვინ ამზადებდა პირველ დარტყმას: ჰიტლერი თუ სტალინი**

„ეხო მოსკვიში“ ამასთან დაკავშირებით გადაწყვიტეს განეხილათ ჩვენი დროის პრევენტიული ომებისა და წინმსწრები დარტყმების თემა. პროგრამის სტუმრები გახდნენ მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის საერთაშორისო უშიშროების ცენტრის დირექტორი ალექსეი არბატოვი და პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის დირექტორი ალექსანდრ შარავინი.

**რუსეთისა და საქართველოს კონფლიქტის შესახებ**

არბატოვი: საქართველო შეეცადა ძალით გადაეწყვიტა თავისი პრობლემები. რუსეთმა ამის პასუხად გამოიყენა ძალა კლასიკურად პრევენტიული სახით – რომ თავიდან აეცილებინა სამხრეთ ოსეთის პრობლემის ძალოვანი გადაწყვეტა და პოტენციურად, როგორც ველოდებოდით, აფხაზეთისაც. ამის დამატებით იქ იყვნენ მშვიდობისმყოფელები, პლუს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ჰქონდა რუსეთის პასპორტები, ესე იგი, სახეზე გვაქვს საკუთარი მოქალაქეების დაცვა. ამიტომ ჩვენ ვთქვით, რომ გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად ეს არის თავდაცვა, ჩვენ უფლება გვაქვს ასეთი მოქმედებისთვის. რუსეთს რომ დაეწყო, რომ იგი შეიერთებს სამხრეთ ოსეთს მისი თხოვნით სამხედრო მოვლენებამდე, მაშინ სააკაშვილის აქცია იქნებოდა პრევენტიული ომი (პრევენტიული ომი – ეს არის ომი, რომელსაც იწყებენ იმ მოსაზრებით, რომ მომავალი კონფლიქტი აუცილებელია და მისი ძირითადი მიზანია აგრესიულ მოქმედებათა თავიდან აცილება მოწინააღმდეგის მხრიდანძ. მაგრამ რუსეთი სულ ადასტურებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას და სამხრეთ ოსეთის თხოვნაზე იძლეოდა პასუხს „არა“. და ჩაერთო საბრძოლო მოქმედებაში საქართველოს სამხედრო აქციის პასუხად. ჩვენი შეცდომაა – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის შემდგომი აღიარება. ეს რომ არ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, უკვე აღარ იქნებოდა საქართველოში სააკაშვილის რეჟიმი, იქ მოვიდოდნენ უფრო გონიერი ადამიანები, ვისთანაც შეიძლებოდა მშვიდობიანი გზით გადაგვეჭრა ეს პრობლემა. ჩვენ გვქონდა მოლაპარაკების ძლიერი ბერკეტი მთელს სამხრეთ კავკასიაზე, ევროპის უშიშროების შემდგომი არქიტექტურის შესაბამისად, და ჩვენ ავიკიდეთ ეს აღიარება, ვერ შევძელით მისი რეალიზაცია. ჩვენ კოზირები მაგიდაზე დავყარეთ – და დავრჩით მარტო ეუთოში ამ საკითხთან დაკავშირებით.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

ვაიმე, ენავ!..



# ბარბაროსები ბარბარიზმებმა შეცვალეს...

## XXI საუკუნის ენის „მარგალიტები“

**ენა კულტურის ნაწილია, კულტურა – ენის, ორივე კი ერის ხასიათის გამოხატულებასა და კუთვნილებას წარმოადგენს, ანუ მათი განვითარებაც ერთად მოიაზრება, ისინი ურთიერთდამოკიდებულ ცნებებს წარმოადგენენ.**

სულ გვესმის მაღალფარდოვანი მოწოდებები: დავიცვათ ქართული ენის სიწმინდე, ვიმეტყველოთ სწორი, გამართული ქართულით, მაგრამ რეალურად არაფერი კეთდება ქართული ენის საკეთილდღეოდ. არც პოლიტიკოსები მეტყველებენ სწორად და არც ჟურნალისტები.

თუ უწინ სიტყვის სესხება კულტურული გზით ხდებოდა, მხატვრული ლიტერატურის მეშვეობით შემოდიოდა, ახლა სხვაგვარად ხდება, კერძოდ, წიგნთან არანაირი კავშირი არ აქვს.

და მაინც რა არის ბარბარიზმები და შეიძლება რომ ისინი რამეში გამოგვადგეს?

სალექსიკონო განმარტების მიხედვით, „ბარბარიზმი არის ეროვნულ ენაში უცხო სიტყვების უადგილო ხმარება, მშობლიური ენისთვის შეუსაბამოდ, საჭიროების გარეშე უცხო სიტყვების შემოტანა, რომელთა შესატყვისი სიტყვა არსებობს ენაში. მაგ: პლოცკო, სპიჩკა, ფართი, კასტინგი, ნიუსი და სხვ.“

ენას ანადგურებს ყველა, ვისაც ლაპარაკი ან წერა შეუძლია: დაწყებული ჟურნალისტებით, „თინეიჯერებით“ და პოლიტიკოსებით დამთავრებული. ზოგმა გრამატიკა არ იცის, ზოგი **წაუინგლისურკეკლუცებს,** ზოგსაც ჰგონია, რომ რაც მეტ უცხო სიტყვას გამოიყენებს, ხალხის თვალში უფრო კარგი ტიპი გამოჩნდება. ზოგი უბრალოდ ასოებს ზოგავს, ზოგიც **„ძაან უბანში“** ცხოვრობს და იძულებულია **„გავჩუსტეთი“** იმეტყველოს, ზოგი ხშირად **„აკომენტებს“** და **„ფოტკას“** შეეჩვია, ზოგმა უბრალოდ სიტყვების ქართული შესატყვისები აღარ იცის და **„ფართი“** მამაპაპურ, ძირძველ სიტყვად მიაჩნია. ზოგადად კი, ამდენი „ზოგი“ ერთობლიობაში დიდი რაოდენობაა.

უფროსი თაობა, საბჭოთა კავშირში იზრდებოდა და რუსული სიტყვების გარევა ფრაზეოლოგიაში, კარგ ტონად ითვლებოდა. ახლა უკვე რუსულს ინგლისური ჩაენაცვლა და **„ტუსოვკების“** მაგივრად **„ფართებზე“** დადიან.

აი, როგორ საუბრობს დღევანდელი ახალგაზრდობა:

**— დღეს „ნაით — ქლაბში“ უძაანმაგრესი პონტი იჩითება.**

**— არა-ა? ტუსოვკაა რამე?**

**— ჰო, იამაიკური „ივენთია“ - „მარლი - ფართი,“ ვილაც იქაური დიჯეი მიქსავს.**

**— აბა გვიძიგძიგია...**

**ლევანი 27 წლის:** „ახლა ყველა ისე ლაპარაკობს, როგორც უნდა. ზოგი რუსულ სიტყვებს იყენებს, ზოგი ინგლისურს. მთავარია გვესმოდეს და ამას რაიმე აზრი არ აქვს.

**მზია 49 წლის:** „ახლა, როგორც ვიცი, ბარბარიზმებად ინგლისურ სიტყვებს მიიჩნევენ. ადრე უფრო რუსული იყო: სტოლი, შკაფი... კარგია, თუ სწორად ვისაუბრებთ, მაგრამ როგორ უნდა ვებრძოლოთ ბარბარიზმებს, ნამდვილად არ ვიცი.“

**ანა 19 წლის:** „ვიცი, რომ ბარბარიზმებით ლაპარაკი ლამაზი არაა, მაგრამ ხშირად მიწევს მათი გამოყენება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინტერნეტით ვსარგებლობ ან მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს ვაგზავნი.“

**ნინი 18 წლის:** „პირადად მე ჟურნალისტობას ვაპირებ და ძალიან მაწუხებს ეს საკითხი. ხშირად ტელევიზიიდანაც ვისმენთ წამყვანების მიერ გამოყენებულ ბარბარიზმებს, რაც დაუშვებელია.“

დღეს კულტურული ელიტის საუბარშიც უხვადაა ინგლისურენოვანი ბარბარიზმები - XXI საუკუნის ენის „მარგალიტები.“

ამ ფაქტმა განსაკუთრებით შეაშფოთა ქართველი ენათმეცნიერები, გორის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი **ჯემალ ინჯია** ყველაფერს დროს აბრალებს და ამბობს: „ბარბარიზმების გავრცელება დრომ მოიტანა, თანაც სალიტერატურო ენის კრიტიკა თითქმის აღარ არსებობს, რომ ებრძოლოს ამ მავნე სენს. როგორც ნარკომანიას, კიბოს და სხვა მავნე სენს ვებრძვით, ასევე უნდა ვებრძოლოთ ბარბარიზმს“.

**მწერალი ვანო ჩხიკვაძე** „ბარბარიზმს“ და „ბარბაროსს“ ერთმანეთს უკავშირებს და მისი გავრცელების მიზეზებზე საუბრობს: “ბარბარიზმის გავრცელებას ხელს უწყობს უვიცობა, სხვათა მიბაძვით კეკლუცობა, მონური სული. ბარბარიზმი, ენისთვის შეუფერებელი გამონათქვამი, სხვათა ენის წესზე ნათქვამი უცხო სიტყვაა. „ბარბაროსი“ კი — ველური ადამიანი, კულტურის მტერი, ეს ნიშნავს რომ „ბარბარიზმი“ და „ბარბაროსი“ შეხმატკბილებულად გვებრძვის.“

საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის იბერიულ-კავკასიური განყოფილების ინსტიტუტის ხელმძღვენელი ბატონი **ვაჟა შენგელია** ბარბარიზმების გავრცელებაში მედიას ადანაშაულებს: „ქართულ ენას აქვს ყველაფრის გამოხატვის უნარი, თუმცა ზოგჯერ ხდება, რომ ადამიანმა იცის ქართული სიტყვა, მაგრამ იმისთვის, რომ აჩვენოს თავისი „გაუნათლებლობა“, ინგლისურ სიტყვას იყენებს. მედიაში ხშირად გამოიყენება ბარბარიზმები, ეს ყურადღების მიქცევის მიზნით ხდება. ყველაზე მძიმეა ტელევიზორით მოსმენილი ფრაზები. ბეჭდურ მედიას შეზღუდული მკითხველი ჰყავს, ტელევიზია კი მასობრივია და გავლენას ახდენს საზოგადოების მეტყველებაზე.“

ბარბარიზმების სიუხვე შეინიშნება ბევრი ცნობილი დაწესებულების სახელწოდებაშიც, მაგალითად საქართველოში არსებობს თბილისი **„არტ ჰოლი“, „რივერ საიდი“, „ნიარ“ ოპერა, „ბიუთი სერვის ლაინი“ და კიდევ ბევრი სხვა.** ბევრი ცნობილი ადამიანი იყენებს საუბრის დროს ასეთ „მარგალიტებს.“

**პეტრე ცისკარიშვილი**: „ჩვენ ვიმყოფებით „რეჟიმ ჩეინჯის“ მდგომარეობაში;“ „სიტუაციის ალარმიზაცია“.

**გიორგი თარგამაძე:** „ისტებლიშმენტი;“

**გოკა გაბაშვილი:** „კრიმინალური ქეისები“;

განსაკუთრებით რთული მოსასმენი კი ეს ჟურნალისტებისგანაა, რითაც საზოგადოება განებივრებული ვართ.

**ტელევიზიით** ხშირად გავიგონებთ: **„ედვაიზერი“, „ლუზერები“, „ნონ სტოპი,“ „მეიქაფი“, „სელებრითები“, „შოპინგი“, „ბაიერი“, „ინთერთაიმენთ მუვი“, „აფთა ფართი“, „ნიუსები“, „ლაივი“, „რეშ“ და სხვა.**

XXI საუკუნეში კოსმოსური სისწრაფით იზრდება ბარბარიზმების გამოყენება და თუკი ასე გაგრძელდა, იოლი გასარკვევია, რა მოჰყვება ამას.

**მერი ჩაჩავა**

წლები

# დიდი გზა



***ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როცა სურვილი უჩნდება ერთგვარად შეაჯამოს განვლილი ცხოვრება, გარკვეული ანგარიში ჩააბაროს საზოგადოებას ნაღვაწ-ნაამაგარზე, მით უფრო, თუ ეს ცხოვრება იყო დატვირთული, სისხლსავსე, ღონიერი და გონიერი.***

***ამიტომ იკითხება ინტერესით ამ რამდენიმე თვის წინათ დასტამბული გიორგი შუბლაძის „ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები“. წიგნი გამოიცა სწავლული ეკონომისტისა და საზოგადო მოღვაწის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და აკადემიკოს-მდივნის, პროფესორ გიორგი შუბლაძის დაბადებიდან 75-ე წლისთავთან დაკავშირებით.***

წიგნის პირველი განყოფილება ავტობიოგრაფიული ნარკვევია, წარმოდგენას გვიქმნის იმ გარემოზე, სადაც დაიბადა, აღიზარდა და განათლება მიიღო, სადაც წარიმართა მისი მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა. დაიბადა კი ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში, შალვა შუბლაძისა და ლიდა გოგიას შრომისმოყვარე ოჯახში, რომელმაც 7 შვილი აღუზარდა ქვეყანას. ახუთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე (1951-1957 წ.წ.ძ, ფრიადოსანი სტუდენტი სისხლხორცეულად იყო ჩაბმული ახალგაზრდულ მოძრაობაში, აქტიურად მონაწილეობდა 1956 წლის მარტის მოვლენებში.

დიდხანს მუშაობდა ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში. 1968 წელს წარმოებისგან მოუწყვეტლად წარმატებით დაამთავრა ასპირანტურა და 1970 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია იმ დროს ფრიად აქტუალურ წარმოებისა და ვაჭრობის კავშირურთიერთობის პრობლემებზე. 1976-1991 წ. წ. ხელმძღვანელობდა „ვნიიკს“-ის (კონიუნქტურისა და მოთხოვნის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისძ საქართველოს ფილიალს, 1991-2000 წლებში მუშაობდა ამ ფილიალის ბაზაზე მისი ინიციატივით შექმნილ მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად.

მეორე განყოფილებაში წარმოჩენილია ის მეცნიერული ნაშრომები, რომლებიც წარმოაჩენენ ბატონ გიორგი შუბლაძის წვლილს ეკონომიკის მეცნიერების განვითარებაში. მისი ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველად საქართველოში შემოიღეს მეცნიერული დისციპლინები (სასწავლო კურსებიძ: ვაჭრობის მართვა, ბიზნესის, მარკეტინგის და მენეჯმენტის საფუძვლები. მან გამიჯნა ცნებები „ბიზნესი“ და „მეწარმეობა“, მოახდინა „მარკეტინგისა“ და „მენეჯმენტის“, აგრეთვე ეკონომიკის თეორიის ორიგინალური დეფინიცია. მუშაობს ეკონომიკური ტერმინოლოგიის საკითხებზე. დაასაბუთა ცნებების „ეფექტიანის“ და „ეფექტურის“ გამიჯვნა, რის სისწორეც დადასტურებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წერილით.

მისი განსწავლულობა და ერუდიცია კარგად არის წარმოჩენილი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებსა და რეცენზიებში, რომლებსაც წიგნში ცალკე ადგილი აქვს დათმობილი.

ასევე ცალკე განყოფილება ეძღვნება გ. შუბლაძის შრომების (წიგნები, საჟურნალო სტატიებიძ ბიბლიოგრაფიას.

პროფესორი გ. შუბლაძე 150-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორია, მათ შორის, ცალკე წიგნად გამოცემულია 25, აქედან 11 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო, 9 კი მონოგრაფიული გამოკვლევაა.

მართვის პრობლემებზე გამოქვეყნებული შრომების საფუძველზე (დისერტაციის დაუწერლადძ უნივერსიტეტის რექტორატის შუამდგომლობათა და სსრ კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით, 1983 წელს გ. შუბლაძემ ერთჯერადი წესით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მოქმედი დებულების თანახმად მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი პიროვნებას შეიძლება მინიჭებოდა სამეცნიერო მოხსენების სახით წარმოდგენილ ნაშრომზე. მაგრამ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო გამონაკლისის სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ავტორის მიერ საფუძვლიანად და მრავალმხრივ შესწავლილი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების კვლევის შედეგები ნათლად იქნებოდა ასახული მის მიერ გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ ნაშრომებში და მათ ექნებოდათ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

სწორედ ასეთ გამონაკლისად და საგანგებო შემთხვევად მიიჩნიეს სპეციალისტებმა გიორგი შუბლაძის მიერ სამეცნიერო მოხსენების სახით წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი — „ვაჭრობის მართვის პრობლემები საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში“. იგი ემყარებოდა დისერტანტის მიერ ოცი წლის მანძილზე გამოქვეყნებულ 39 მეცნიერულ ნაშრომს, 100-ზე მეტი ნაბეჭდი თაბახის მოცულობით. განსახილველი დისერტაციის უპირველეს და უმთავრეს ღირსებად მიიჩნიეს ის, რომ მასში მაღალმეცნიერულ და პროფესიულ დონეზე იყო გაშუქებული საკვლევი პრობლემის — მიმოქცევის სფეროს თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის გლობალურ სადისკუსიო საკითხთა ფართო წრე.

ქართველ სწავლულ ეკონომისტებს შორის გიორგი შუბლაძემ პირველმა დაიწყო საბაზრო პრობლემების გამოკვლევა, კერძოდ ისეთ კონკრეტულ სფეროებში, როგორიცაა მოთხოვნის პროგნოზირება და ბაზრის რეგულირება, მარკეტინგი, მენეჯმენტი და ბიზნესი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა ახალგაზრდა სპეციალისტებისა და სამეცნიერო მუშაკთა აღზრდაში.

გიორგი შუბლაძის შრომა სათანადოდ არის დაფასებული. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, ივანე ჯავახიშვილის მედლით. იყო უნივერსიტეტის დიდი საბჭოსა და პროფესორთა საბჭოს წევრი.

ცხოვრების დიდი და ნაყოფიერი გზა განვლო პროფესორმა გიორგი შუბლაძემ. იგი 75 წლისთვის იუბილეს შეხვდა ფიზიკური და შემოქმედებითი სიძლიერის ვითარებაში და კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს თავისი ცინცხალი გონების ნაყოფით. ახალი გამოკვლევით, ახალი წიგნით, ახალი სახელმძღვანელოთი.

**ალექსანდრე ავალიანი**

ინფორმაცია

### მოზარდთა შელაპარაკება მკვლელობით დასრულდა

**3 დღის ძებნის შემდეგ ქუთაისის მე-15 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე, გვარად ხურცილავა მოკლული იპოვეს. სამართალდამცავებმა ხურცილავას ცხედარი ქალაქის ერთ-ერთ უბანში, ნიკეას დასახლებაში ნახეს.**

**მოკლულს 36 ჭრილობა ცივი იარაღით აქვს მიყენებული.**

**წინასწარი ინფორმაციით, დანაშაული უკვე გახსნილია, დაკავებულია ეჭვმიტანილიც.**

**ერთ-ერთი ვერსიით, დანაშაულში ეჭვმიტანილი მოკლულის თანატოლია. მკვლელობა შელაპარაკების ნიადაგზე მოხდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ფეხბურთი

# მსოფლიოს თასი კორიდის სამშობლოსაც ეწვია



**წერტილი დაესვა უდიდეს უსამართლობას: ქვეყანა, რომელმაც საფეხბურთო სამყაროს ლეგენდარული გუნდები და მოთამაშეები აჩუქა, როგორც იქნა, თავისი ეროვნული ნაკრების მსოფლიო ჩემპიონობას ზეიმობს.**

**საამაყო ტრადიციები, იცოცხლეთ, მეორე ფინალისტსაც მრავლად აქვს, მაგრამ ამჯერად მართლაც უძლიერესმა გაიმარჯვა.**

**ესპანეთი – ჰოლანდია 1:0**
**(დამატებით დროშიძ.**
**გოლი: ინიესტა (116-ე წუთიძ.**

შეხვედრა მომავალ ტრიუმფატორთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ რამოსმა პარტნიორთა დაწინაურება ვერ შეძლო. თანდათან „ნარინჯისფერებმა“ მარწუხებს მოუჭირეს და მეტოქეს მინდვრის ცენტრში ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს, რაც უხეშობაში გადაიზარდა. ბუნებრივია, ინგლისელმა მსაჯმა ჰოვარდ უებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადა და 13-წუთიან მონაკვეთში ზედიზედ ხუთჯერ ააფრიალა ყვითელი ბარათი, მაგრამ ვნებების დასაცხრომად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

შესვენების შემდეგ ვისენტე დელ ბოსკემ პედროს ნაცვლად მარჯვენა ფლანგის აკლების შანსი ნავასს მისცა და „სევილიის“ ლიდერმა, მართლაც, თავისი აქტიურობით პირენეელებს უპირატესობა დაუბრუნა. ერთ-ერთი მისი გარღვევის შემდეგ ვილია ვალდებული იყო წლევანდელ მუნდიალზე მე-6 გოლი გაეტანა და ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულიყო, მაგრამ ბურთს ჰეიტინგა გადაეფარა და ბენილუქსელებს ხიფათი აარიდა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, კინაღამ დაუწერელი საფეხბურთო კანონი ამოქმედდა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა რობენმა საბედისწერო მომენტი გაფლანგა – კასილიასმა ფეხით მოიგერია ბურთი. ღირსეულთა დუელი დამატებით დროშიც გაგრძელდა, ხოლო კვანძი პენალტების სერიამდე 4 წუთით ადრე გაიხსნა. ამ დროს სნეიდერის მიერ შესრულებული ჯარიმის შემდეგ ბერტ ვან მაარვიკის შეგირდებს, წესით, კუთხური უნდა ჩაეწოდებინათ, მაგრამ მსაჯებმა რატომღაც თამაში სამხრეთელებს განაახლებინეს. ელვისებური შეტევა ფაბრეგასის ფილიგრანული გადაცემითა და ინიესტას ოქროს გოლით დაგვირგვინდა. სხვათა შორის, მანამდე რამდენიმე წუთით ადრე უებმა სარბიელიდან ჰეიტინგა გააძევა, დამარცხებულთა აზრით კი, ანალოგიურ სიტუაციებში ყოფილმა პოლიციელმა პუიოლი და ინიესტა დაინდო, რამაც, თურმე, შეხვედრის შედეგზე იქონია გავლენა.

ასეა თუ ისე, მსოფლიოს უკვე მერვე ჩემპიონი ჰყავს, კონტინენტების მარადიულ დაპირისპირებაში კი ევროპა წინ გავიდა სამხრეთ ამერიკასთან – 10:9.

რაც შეეხება სამხრეთაფრიკული ფორუმის ინდივიდუალურ პრიზებს, ისინი ასე განაწილდა.

**საუკეთესო მოთამაშე:** ფორლანი (ურუგვაიძ – 23,4 პროცენტი, სნეიდერი (ჰოლანდიაძ – 21,8 პროცენტი, ვილია (ესპანეთიძ – 16,9 პროცენტი.

**ბომბარდირი:** მიულერი (გერმანიაძ – 5 გოლი და 3 შედეგიანი გადაცემა ექვს მატჩში. ასეთივე მონაგარით დაასრულეს ტურნირი ვილიამ, სნეიდერმა და ფორლანმა, მაგრამ მათ შვიდივე შეხვედრაში ითამაშეს.

**საუკეთესო მეკარე:** კასილიასი (ესპანეთიძ, მას გადაეცა ლევ იაშინის სახელობის პრიზი.

**დავძენთ, რომ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატს 2014 წელს ბრაზილია უმასპინძლებს.**

**გიორგი შოთაძე**



**ვივა!, ვივა! ესპანეთო!**
**ღირსო ყველა დიდების,**
**კიდევ ერთხელ გვაგრძნობინე,**
**რომ ნიმუშად გვჭირდები –**
**სისხლითა და შემართებით,**
**ნიჭითა და უნარით,**
**ლამანჩელის სევდიანი**
**სახით – გაუხუნარით,**
**ვაჟკაცური ბურთაობით,**
**ფინტებით და პასებით,**
**ასეთები გვიყვარხართ და**
**დიახაც „გვევასებით“.**
**გაგიმარჯოთ, მაგრამ ამ გულს,**
**ნეტავ, რა გაამრთელებს,**
**ნეტავ, როდის უქომაგებს,**
**ესპანეთი ქართველებს!**

**ვილენ მარდალეიშვილი**

ინტერნეტიდან

## ლიდერობს ჰემილტონი




**თუმცა ვაჟკაცური ავტორბოლის „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის მეათე ეტაპის „დიდი ბრიტანეთის გრან-პრი“ გამარჯვებული „რედ ბულის“ ავსტრალიელი მრბოლი მარკ უებერი გახდა და მასთან ერთად კვარცხლბეკის მომდევნო საფეხურებზე ლუის ჰემილტონი „მაკლარენიდან“ და „მერსედესის“ პილოტი ნიკო როსბერგი ავიდნენ, მაგრამ პირად ჩათვლაში ლიდერობა მაინც ლუის ჰემილტონმა შეინარჩუნა – 145 ქულა.**

რბოლის დასაწყისში საბურავმა დაალალატა წინა დღეს კვალიფიკაციისას გამარჯვებული სებასტიან ფეტელი და პელეტონის ბოლოში გადაიყვანა.

მეოცე წრეზე მექანიკური პრობლემები შეექმნა „რენოს“ პილოტს რობერტ კუბიცას, რამაც აიძულა სეზონში პირველად ვადაზე ადრე დაემთავრებინა რბოლა, თუმცა იქამდე ხელი შეუშალა ალონსოს.

საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზეა ჰემილტონის თანაგუნდელი ჯენსონ ბატონი 133 ქულით, შემდეგ მოდიან მარკ უებერი (128ძ და სებასტიან ფეტელი (121ძ.

## არმსტრონგს გაუჭირდა



**მთებში 189 კილომეტრის, მათ შორის მეოთხე და მესამე კატეგორიის მწვერვალების, ლია რამაზის მთაზე ასვლაც მოუწიათ მრავალდღიანი სუპერველორბოლის „ტურ დე ფრანსის“ მონაწილეებს მერვე ეტაპზე.**

რბოლის დასაწყისშივე ზედახორა შეიქმნა, რომელმაც „ჩაყლაპა“ ამ პრესტიჟული რბოლის შვიდგზის გამარჯვებული, ამერიკელი ლენს არმსტრონგი. მართალია, მან დროზე გააღწია იქიდან, თუმცა პელეტონის პირველი 30 კილომეტრი მწარე დარტყმებს აყენებდა გაბედულებს. შვიდმა ველოსიპედისტმა მაინც შეძლო 3,5 წუთით დაწინაურება. რასაც კიდევ ერთი წუთი დაამატეს, თუმცა ველომრბოლელებს „შავი“ საქმე გაუკეთა 140-ე კილომეტრზე ლია რამაზის აღმართმა, მათ შორის ლეგენდარულ ამერიკელ არმსტრონგსაც, რომელმაც ვერ გაუძლო ალბერტო კონტადორის შეტევას. ის მეტოქეს თითქმის შვიდი წუთით ჩამორჩა. ფინიშთან კი პირველი ლუქსემბურგელი ენდი შლეკი მივიდა, ფინალში ესპანელ სამუელ სანჩესს რომ გადაასწრო. არმსტრონგი ძალზე ჩამორჩა.

## ლამაზმანი მილიონად

**თუ გინდათ, ნუ დაიჯერებთ, მაგრამ ეს ლამაზმანი, აქვე ფოტოზე რომ ჩანს, ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონია კრივში – მას ჰოლი დანუეი ჰქვია. მან ახლახან მონაწილეობა მიიღო გამოცემისათვის Badass ძალზე პიკანტურ ფოტოსესიაში. მისი სათაური კი ორიგინალურია – „გოგონა მილიონ დოლარად“. თავად ფოტოსესია კი ერთობ მოშიშვლებული გამოვიდა. „ვისაც არ ძალუძს, იგრძნოს გაშიშვლებული სხეულის მშვენიერება, მას საერთოდ არ უყვარს თავისი სხეული ისე, როგორც ის მე მიყვარს, – განაცხადა ლამაზმანმა, – ჩემს გულშემატკივრებს უეჭველად მოეწონებათ ეს ფოტოსესია“.**



ამბობენ, რომ ამ ფოტოსესიის მასალების გამოქვეყნების შემდეგ 25 წლის ლამაზმანის გულშემატკივრების რიცხვი სწრაფად იზრდება, მალე მისი ბრძოლების მაყურებელთა რიცხვიც გაიზრდება, თუ კი კვლავ წარმატებით იასპარეზებს.

საბრძოლო ხელოვნება

# ელადური ნადავლი

**საბერძნეთის ქალაქ ალექსანდროპოლში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი კიკბოქსინგსა და კონტაქტურ ბრძოლებში. საქართველოს სპორტსმენებმა ამ შეჯიბრებაში თითო ოქრო-ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.**

კიკბოქსინგში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ლევან გურული (74ძ, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. კარატეში მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა მალხაზ აბრამიშვილი (მძიმე წონაძ. მან საჩვენებელ გამოსვლებში „ბრინჯაოც“ ირგუნა. ასევე, მესამე ადგილებზე გავიდნენ პანკრატიონში გრიგოლ ტყემალაძე (მძიმე წონაძ და გიორგი ყაფლანიშვილი (ტაეკვანდო, 85ძ.




რაგბი

# შვიდკაცას მეხუთე ადგილი

**რაც დრო გადის, საქართველოს შვიდკაცა რაგბი სულ უფრო თმობს პოზიციებს. დასტურად მოსკოვში გამართული ევროპის ჩემპიონატიც კმარა. A ჯგუფში, სადაც 6 გუნდი გამოდიოდა, შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავეს: ისინი ჯერ პორტუგალიელებთან დამარცხდნენ 12:33, შემდეგ რუსეთთან – 7:40, მართალია, პოლონეთსა და მოლდოვას, შესაბამისად, 35:12 და 19:7 სძლიეს, მაგრამ ბოლო პაექრობა იტალიელებთან დათმეს – 14:21 და მხოლოდ მე-5 ადგილისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს. იქ კი B ჯგუფიდან უკრაინასა (12:5ძ და რუმინეთს (59:0ძ მოუგეს.**

ჩემპიონის ოქროს მედლები, უკვე მერამდენედ პორტუგალიელებმა დაიმსახურეს. ლობუშებმა ნახევარფინალში მეზობლებს – ესპანელებს აჯობეს 17:12, გადამწყვეტ პაექრობაში კი რუსების მძლეველი (19:5ძ ფრანგები დაჯაბნეს – 12:5. ბრინჯაოს მედლები პირინეელთა დამარცხებით (22:10ძ მასპინძლებმა დაისაკუთრეს.



ხელოვნება

# ფრიდონ ხალვაში

ქართულმა მწერლობამ, კულტურამ, სრულიად საქართველომ მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადეს.

გარდაიცვალა დიდებული ქართველი მწერალი და ერისკაცი, რომელსაც არსთაგამრიგემ დააკისრა უდიდესი მისია — ყოფილიყო საქართველოს გულანთებული მეციხოვნე აჭარაში, ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთ ძირძველ, უმშვენიერეს, ათასგზის იავარქმნილ კუთხეში და უნდა ითქვას, რომ ფრიდონ ხალვაშმა, ნიჭიერებითა და პატიოსნებით მართლაც რომ გამორჩეულმა პიროვნებამ, ამ მისიის აღსრულებას შეალია მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება. მისი მრავალწახნაგოვანი შემოქმედება ჭეშმარიტი პოეტისა და მამულიშვილის დიალოგია თავისი სათაყვანებელი ერის რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე ტრაგიკულ ისტორიასთან, მის წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან. თუ მისი შემოქმედება მთლიანად შთაგონებული იყო აჭარის ისტორიით, შეიძლება ითქვა, რომ თავად ამ პოეტის ნააზრევიცა და ცხოვრებაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა, სტიმულს აძლევდა, ორიენტირს უსახავდა აჭარის წინსვლასა და განვითარებას. თუნდაც ის მაგალითი რად ღირს, რაც ამ ბრძენმა მოაზროვნემ მისცა მშობლიური კუთხის მკვიდრთ, როდესაც დედაეკლესიას, ქრისტიანულ სარწმუნოებას დაუბრუნდა. ყველას, ვინც იმ ისტორიულ მოვლენას ესწრებოდა სიონის საკათედრო ტაძარში, ახსოვს ღვთიური შარავანდედით გაცისკროვნებული, გაბრწყინებული სახე პოეტისა, რომელიც იმ მომენტში თავის წინაპართა სულებს აბარებდა ანგარიშს. მაშინ ბატონმა ფრიდონმა ყველას დაანახვა, რომ ქართული სულის ამოშანთვა, იავარქმნა, განადგურება წარმოუდგენელია, რომ დამცრობილ ქვეყანას ასწლეულების შემდეგაც შეუძლია სამართლიანობის აღდგენა და გაბრწყინება...

ფრიდონ ხალვაში დაიბადა 1925 წლის 17 მაისს ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეებში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა გააგრძელა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც 1950 წელს დაასრულა. სწავლობდა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურულ ინსტიტუტთან არსებულ უმაღლეს ლიტერატურულ კურსებზე.

1957 წლიდან ფრიდონ ხალვაში სათავეში ედგა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციას და ათწლეულების განმავლობაში დაუღლელად ილვწოდა მისი წინსვლისათვის, ახალგაზრდა მწერალთა სწორი პროფესიული დაოსტატებისთვის.

ფრიდონ ხალვაშის მწერლური ნათლობა 1944 წელს შედგა, როდესაც გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი.

მას შემდეგ ექვს ათეულ წელზე მეტი ბატონი ფრიდონი გატაცებით, შთაგონებით უმღეროდა მშობლიურ ქვეყანას და ყველას გვარწმუნებდა, რომ მისი უმშვენიერესი ლექსები თავად პოეტის სუნთქვისა და გულისთქმის ცოცხალი ორგანული ნაწილი იყო.

ფრიდონ ხალვაშის პოეტური კრებულები „მზის ქვეყანაში“, „მუხა და ქარი“, „გენაცვალე“, „ნუგეში“, „მადლობა“, „ღიმილი“, „ერთტომეული“, „ასი მზე დედის გულისა“, რჩეული „ასი ლექსი“ და მრავალი სხვა შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. ისინი ამ კრებულებში შესულ ლექსებში ხომ თავის საფიქრალსა და სატკივარზე პოულობდნენ პასუხს, რადგანაც მათ ავტორში თანამდგომსა და გულის მესაიდუმლეს ხედავდნენ.

პოეტის გულწრფელი, სისადავითა და ბუნებრიობით გამორჩეული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა მრავალ უცხოურ ენაზე.

თეატრებში დაიდგა მისი საყურადღებო პიესები: „ვაზის ტირილი“, „გადარჩენილი უკვდავება“, „ხიხანის ძახილი“...



ფრიდონ ხალვაშის რომანები „საყვედური“, „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“, „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი“ კიდევ ერთი დასტურია მისი მწერლური ნიჭიერებისა.

ფრიდონ ხალვაშის კალამს ეკუთვნოდა მრავალი საინტერესო ლიტერატურული პორტრეტი, ეტიუდი, მინიატიურა, მემუარული ჩანაწერები. ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა მისი მოგონებების წიგნი „ომრი“.

ფრიდონ ხალვაშმა დაუღალავად ილვაწა საზოგადოებრივ ასპარეზზე. იგი არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრად, აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს პარლამენტის წევრად და მუდამ იმ მამულიშვილთა გუნდში მოიაზრებოდა, ვისთვისაც ერთიანი და ძლევამოსილი საქართველოს მსახურების იდეა ცხოვრების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა.

ფრიდონ ხალვაშის მრავალწლიანი გარჯა, მისი ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. მის უამრავ ჯილდოს შორის ოზოლი მარგალიტივით ბრწყინავს ქვეყნის უმაღლესი ლიტერატურული პრემია — შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ფრიდონ ხალვაშის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ჭაბუკური გზნებითა და შემართებით ემსახურა ქართულ ლექსს, ბოლომდე ფორმის, აზრისმიერ სიახლეებს ელტვოდა. ამის საუცხოო დასტურია მისი სამყურები — სხარტი, სამსტრიქონიანი ლირიკული ჩანახატები, დიდი ტკივილების, დიდი ადამიანური ვნებებისა და სულიერი ძვრების შედეგი...

ქართული მწერლობა დიდი გულისტკივილით ეთხოვება ფრიდონ ხალვაშს, პოეტს, ერისკაცს, სამშობლოს ბედსა თუ უბედობაზე, მუდამ დაფიქრებულ შემოქმედს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

# ვალმოხდილნი, დაფასებულნი წავიდნენ

ხშირად გვიწევს ამის აღნიშვნა — ბოლო წლებში მეტისმეტად შემოგვეჩვია მწუხარება, რაც მტრისგან დაძიძგნილი, ლტოლვილებმომრავლებული საქართველოს ისედაც შეჭირვებულ ყოფას კიდევ უფრო ამძიმებს. ადვილი წარმოსადგენია ჩვენისთანა მცირე ერის განცდა, როცა ორი გამორჩენილი, სათაყვანო პიროვნების — 



მწერლისა და კომპოზიტორის — დაღუპვას ერთ დღეს შეიტყობს.

ვიცოდით, მთელი თბილისისთვის საყვარელი ბიძინა კვერნაძის ჯანმრთელობა ძალზე შერყეული რომ იყო, გვეგონა, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გამოკეთება დაეტყობოდა, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა.

განსაკუთრებით არ გაუმართლა ფრიდონ ხალვაშს, ვისაც თავისი დაბადების ოთხმოცდახუთი წლისთავი, წლევანდელი 17 მაისი, გლოვის დღედ გადაექცა. იმ საღამოს, მისგან ასე ნაფერები დედაქალაქის მკვიდრებთან ერთად, მშობლიური აჭარიდან ჩამოსული არაერთი სახელოვანი პიროვნება ესწრებოდა პოეტის მშვენივრად დაწყებულ იუბილეს და მისალმების დროს მუხრან მაჭავარიანის უეცარმა სიკვდილმა ყველაფერს მწუხარების იერი მისცა.

ჩემზე ათი წლის უფროს ფრიდონ ხალვაშთან უაღრესად ახლო, თითქმის ყოველდღიური მეგობრული ურთიერთობა მქონდა (მისი მეტად საყურადღებო წიგნების რედაქტორი ვარძ და ვხედავდი, როგორ თვალდახელშუა შეიცვალა იგი იმ საბედისწერო შემთხვევის შემდეგ — ფეხზე დადგომა უჭირდა. აქაურმა ექიმებმა გასინჯეს, საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანდა. მალე თვითონაც და ოჯახის წევრებმაც გადაწყვიტეს — თურქეთის კარგად აღჭურვილ კლინიკაში, ერთი იქაური ქართველის მეურვეობით ემკურნალა, რასაც, ჩვენდა სავალალოდ, სასურველი შედეგი არ მოჰყვა.

ფრიდონ ხალვაშმა მთელი თავისი სამაგალითო ცხოვრება და შემოქმედება საქართველოს აღორძინებასა და გაძლიერებას, ქართული სიტყვის უკეთილშობილეს სამსახურს შეალია.

თავისი რჩეული ლირიკული ლექსების ბოლო კრებულის (ეს წიგნი ჩვეული გულისხმიერებით შეადგინა და მშვენიერი წინასიტყვაობა დაურთო ჩვენმა საუკეთესო ლიტერატორმა ივანე ამირხანაშვილმაძ ერთ-ერთ უსათაუროში უცნაური წინათგრძნობით გამსჭვალული ძვირფასი ფრიდონი ვაჟკაცური თავშეკავებით წერს:

**ვიცი, ბოლოს სად მელიან,**
**ვიცი, რაც უნდა ვიცოდე,**
**რომ ჩემი მოსავლელია**
**სიკვდილის მერეც სიცოცხლე.**

სწორედ ასეა. ფრიდონ ხალვაში ჭეშმარიტად ვალმოხდილი, დაფასებული წავიდა ამ ქვეყნიდან. იმდენი რამ გააკეთა და სამუდამო განძად დაუტოვა მარად საფიცარ საქართველოს, მემლექეთს. მის ნათელ სახეს დავიწყების ბურუსი ვერასოდეს დაფარავს.

ემზარ კვიტაიშვილი

საქართველოს გარდაეცვალა კიდევ ერთი ხელოვანი, ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ფრიდონ ხალვაში, რომელიც მთელი ცხოვრება ემსახურა ქართველ ხალხს. საქართველოს ულამაზესი კუთხიდან, აჭარიდან მთელი სიცოცხლის მანძილზე აფრქვევდა სიყვარულს, სიყვარულს კაცთა და სამშობლოს — საქართველოს სიყვარულს.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით ეთხოვება ბატონ ფრიდონ ხალვაშს და თანაუგრძნობს ოჯახს.

*საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე* მერაბ ბერძენიშვილი

**ფრიდონ ხალვაში კვირას, 11 ივლისს, თავისი დიდი ნათლიის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ბათუმში ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის ეზოში დაკრძალეს, სადაც აქამდე არც სასულიერო და არც საერო პირთათვის არც ერთი სამარე არ გაჭრილა. ამ ფრიად ღვაწლდადებული პიროვნების პირველი საფლავით საფუძველი დაედო აქაურ მკვიდრ დიდმოღვაწეთა პანთეონს.**

ინფორმაცია

## ძმებ მახარაშვილებს უბედურება თან სდევდათ

ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალში უბედური შემთხვევა მოხდა. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, 24 წლის ვახტანგ მახარაშვილი ამწეზე მუშაობდა, რა დროსაც ამწის ნაწილი მაღალი ძაბვის ელექტროენერგიის მავთულს წამოედო და ბიჭი ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მახარაშვილი ერთ-ერთი კომპანიის მიერ იყო დაქირავებული. ჯერჯერობით უცნობია, დაცული იყო თუ არა უსაფრთხოების ნორმები.

ვახტანგ მახარაშვილი გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნიდან იყო. მისი ცხედარი ვაზისუბანში უკვე გადაასვენეს. ოჯახს მის გარდა სხვა შვილი აღარ ჰყავდა. ვახტანგ მახარაშვილის ძმაც უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა. 2005 წელს მდინარე ალაზანში მანქანა გადავარდა და მახარაშვილის ძმა თავის სამ მეგობართან ერთად მაშინ გარდაიცვალა.

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

ხელოვნება

## ციალა ბზიკაძე



ახლობლები, მეგობრები, თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა „ავრორა-95“-ის დირექტორი ციალა (ზაირაძ გრიგოლის ასული ბზიკაძე.

ათწლეულების მანძილზე იგი ემსახურებოდა ვაჭრობის სფეროს, როგორც საქმის მცოდნე და თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული სპეციალისტი.

გამორჩეული პრინციპულობით შექმნილო ქალბატონმა ციალამ ქვეყნისთვის რთულ სიტუაციებში შეინარჩუნებინა პერსონალის თანადგომა და პატივისცემა.

ნათქვამია — „თუ გინდა გაიგო ადამიანის სული, უნდა დააკვირდე, როგორ იცინის“ სწორედ ეს, განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ღიმილი და ნებისმიერი რთული სიტუაციიდან გამოსვლის უნარი დიდხანს დაამახსოვრდება ყველას, ვინც მას იცნობდა.

დასანანია, რომ ასეთი ადამიანი დღეს ჩვენს შორის აღარ არის.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სპეტაკი სული, მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

**გამოსვენება სამშაბათს, 13 ივლისს. მისამართი: ქ. თბილისი, ბალანჩივაძის ქუჩა №5.**

უახლოესი მეგობრები ნათელა და შოთა გამყრელიძეები შვილებით და შვილიშვილებით იუწყებიან ღვაწლმოსილი მუსიკოსის

არჩილ ვლადიმერის ძე გამცემლიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

ნელი შიშნიაშვილის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა ექიმი, მედიცინის დოქტორი, საქართველოს სუჯუკ-აკუპუნქტურთა ასოციაციის პრეზიდენტი

მერაბ ნებიერიძე.

---

საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, პროფესორი

შუქრი მანასაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## მრავალსახეობა მსახიობისა

### „რომაული არდადეგები“ – სრული ტრიუმფი

**ოდრი ჰეპბერნის კინოკარიერა 40 წელს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში მან შედარებით მცირე რაოდენობის ფილმებში მიიღო მონაწილეობა – დაახლოებით ოცდაათში, მაგრამ მართლაც რომ უნიკალური პოპულარობა მოიპოვა. მას „XX საუკუნის უკანასკნელ რომანტიკულ მსახიობ ქალს“ უწოდებდნენ.**

ჰეპბერნის კინოკარიერა პატარ-პატარა როლების შესრულებით დაიწყო. შემდეგ მას ყურადღება მიაქცია ჰოლივუდის ცნობილმა რეჟისორმა უილიამ უაილერმა, რომელიც ეძებდა მსახიობს თავისი ახალი ფილმისთვის – „რომაული არდადეგები“ რომ ერქვა. რეჟისორი თვლიდა, რომ ჰეპბერნი ძალიან შესაფერისი იყო მთავარი, არარსებული სახელმწიფოს პრინცესას როლისთვის. ოდრი ძალიან ღელავდა. მას უნდა ეთამაშა ისეთ ვარსკვლავთან ერთად, როგორიც გრეგორი პეკი იყო. პეკი ძალიან კეთილი, მეგობრულად განწყობილი ადამიანი გამოდგა და დამწყებ მსახიობს ყოველნაირად ეხმარებოდა. არა, რატომ დამწყებს – „რომაული არდადეგების“ კოლოსალური წარმატების შემდეგ ოდრი ისეთივე ვარსკვლავი გახდა, როგორიც თვითონ გრეგორი პეკი იყო. 1953 წელს 24 წლის ჰეპბერნმა მიიღო უმაღლესი ჯილდო – „ოსკარის“ ოქროს ქანდაკება.



„რომაულ არდადეგებში“ სრული ტრიუმფის შემდეგ ჰეპბერნმა დიდი წარმატებით შეასრულა ნატაშა როსტოვას როლი ლევ ტოლსტოის „ომისა და მშვიდობის“ ეკრანიზაციაში, „მონაზონის ისტორიაში“ კი გასაოცარი გაბედულება გამოიჩინა: ოთხი დღის განმავლობაში ისე იმუშავა კეთროვანთა კოლონიაში კონგოში, რომ დამცავი ხელთათმანებიც კი არ ჩაუცვამს. შემდეგ ჰუმანიტარულ საქმიანობას მიჰყო ხელი – გაერთიანებული ერების საბავშვო ფონდში დაიწყო მუშაობა. ხუთი წლის მანძილზე კონტინენტიდან კონტინენტზე მოგზაურობდა, უმწეო, გაჭირვებული ბავშვებისთვის ჰუმანიტარულ ტვირთს აგროვებდა, მშიერ და ავადმყოფ ბავშვებს ზოგჯერ საკუთარი ხელით აჭმევდა. არ შეეძლო თავის მდიდრულ შვეიცარიულ სახლში უსაგნოდ ყოფნა, როცა ირგვლივ ამდენი მიუსაფარი იყო.

### არნოლდ შვარცენეგერი – კინომსახიობი და გუბერნატორი



**იგი ერთადერთია თანამედროვე მსახიობებს შორის, რომელიც გუბერნატორის თანამდებობას და მსახიობობას ერთმანეთს უფარდებს. ამბობენ, რომ მისი ქონება მილიარდობით დოლარით იზომება, დიდძალი მიწა ეკუთვნის ლოს-ანჯელესში, დენვერში, პლაჟები სანტა-მონიკაში და სახლები სან-ფრანცისკოში. ამაყობს, რომ ერთდროულად ორი ქვეყნის – აშშ-ისა და ავსტრიის მოქალაქეა.**

ბავშვობაში ხულიგნად ითვლებოდა. მამის წინააღმდეგობის მიუხედავად ძალზე გაიტაცა ძალოსნობამ და კულტურიზმმა. შემდეგ ავსტრიიდან ამერიკაში გადასახლდა, სადაც ჯერ ვისკონსინის შტატის ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ კი კინომსახიობობა გადაწყვიტა. დიდი წარმატებები ჰქონდა კულტურიზმში – სამჯერ მოიპოვა წოდება „მისტერ ოლიმპია“, ხუთჯერ „მისტერ უნივესსუმი“, ერთხელ კი „მისტერ მსოფლიო“.

როლების შესრულებისას შვარცენეგერი არასოდეს მიმართავს დუბლიორებს, ყველა ილეთს თვითონ ასრულებს, ვერტმფრენიდანაც კი ხტება.

მეტი დრო რომ მქონდეს, ნებისმიერ სახელმწიფო პოსტს დავიკავებდი, – ასე ფიქრობს გუბერნატორი და პოპულარული მსახიობი.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი — 13 ივლისი

### დაიბადნენ:



ამოდის 04.36
ჩადის 19.37

ამოდის 02.42
ჩადის 18.31

**100 (ძ. წ.ძ – იულიუს კეისარი,** ძველი რომის პოლიტიკური მოღვაწე, მხედართმთავარი, რეფორმატორი, მწერალი, გარდაიცვალა 44 წელს (ძ. წ.ძ.

**1863 – ოსკარ შმერლინგი,** ფერმწერი და გრაფიკოსი, კარიკატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. გარდაიცვალა 1938 წელს.

**1884 – ისააკ ბაბელი,** ცნობილი რუსი მწერალი, გარდაიცვალა 1941 წელს.

**1890 – ლევან ასათიანი,** მწერალი. გარდაიცვალა 1955 წელს.

**1934 – ვოლე შოინკა,** ნიგერიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1936 – ვაჟა აზარაშვილი,** კომპოზიტორი.

### გარდაიცვალნენ:

**1793 – ჟან პოლ მარატი**, საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე.

**1951 – არნოლდ შიონბერგი,** ავსტრიელი კომპოზიტორი.

**1974 – პატრიკ ბლეკეტი,** ბრიტანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

### მოვლენები:

**1837 წელი** – დედოფალი ვიქტორია პირველი მონარქი იყო, რომელიც ბუკინჰემის სასახლეში დასახლდა.

**1882 წელი** – მოსკოვში პირველი ტელეფონი ამოქმედდა.

**1897 წელი** – გულიელმო მარკონიმ რადიო დააპატენტა.

**1908 წელი** – ლონდონში IV ოლიმპიური თამაშები გაიხსნა.

**1930 წელი** – მონტევიდეოში გაიხსნა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ფეხბურთში.

**მედიანიუსი**

## ინფორმაცია

### ქურდული სამყაროს წევრები კვლავ გამოჩნდნენ

**შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავეს ქურდული სამყაროს წევრები: შოთა ჭავჭანიძე, თეიმურაზ გორდაძე, კახა კენჭოშვილი, კახა ვაჭარაძე, კობა ქურასბედიანი, კობა კაკაურიძე, მურმან წივწივაძე, ზურაბ წივწივაძე , დიმიტრი ბულაშვილი და გიორგი ჩანქსელიანი.**

**სამართალდამცავების განცხადებით, აღნიშნული პირები, ერთ-ერთ ბიზნესმენს მისი საქმიანობიდან გამომდინარე, სთხოვდნენ წილებს და ემუქრებოდნენ ფიზიკური განადგურებით. ისინი უკავშირდებოდნენ რუსეთში მცხოვრებ კანონიერ ქურდს ნოე წულაიას და ამჟამად ქსნის კოლონიაში მსჯავრდებულ რევაზ ჩაკვეტაძეს, მეტსახელად „კოჭოიას“ და მათგან იღებდნენ მითითებებს.**

**დაკავებულთა პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, პისტოლეტი, საბრძოლო მასალა, გადაჭრილი თოფი ე.წ აბრეზი.**

**გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 223-ე, 239-ე და 236-ე მუხლებით.**

**ХИ-ЕИВ-ЕНИ**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8439 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3360 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7979 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9876 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0156 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2942 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3317 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1699 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7235 ლარი |



## ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | +26 – +38 |
| ქუთაისი. | +24 – +32 |
| ბათუმი. | +23 – +27 |
| ზუგდიდი. | +24 – +29 |
| თელავი. | +22 – +34 |

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– საყვარელო, იმედი მაქვს, საჩუქარი, რომელსაც გადმოგცემ, შენს თითზე დიდებული სანახავი იქნება, – ეუბნება ქმარი ცოლს.

– გმადლობთ, საყვარელო. ოღონდ ძალიან ძვირიანს ნუ იყიდი.

– რას ამბობ! სად გინახავს ძვირიანი სათითე?

* * *

ქართულ ბაზარზე მალე გამოვა სიგარეტი წარწერით: „დედაჩემმა რომ გაიგოს, მომკლავს“.

* * *



– მეზობელი ბინიდან დიასახლისმა შემომჩივლა, დაშა, იქნებ უთხრა შენს ქმარს, ხვრინვა შეწყვიტოსო. მე ღრმად მძინავს და არც ქმრის შეწუხება მიცდია. ერთხელ კი შუაღამისას გამეღვიძა და ვნახე, რომ ქმარს, მარჯვენა მხარზე დაწოლილს, წყნარად სძინავს, – ყურზე კი მაგრად მიუფარებია ბალიში.

* * *

ხდება ხოლმე, ზოგჯერ დროულად მიიღებ ხელფასს, ერთი კვირის შემდეგ კი ფიქრობ, რომ უკეთესი იყო, იგი კვირის დაგვიანებით მიგეღო...

* * *

– მიხო, ამას რას ვხედავ, მე ძილის აბები გამომიწერე, შენ კი ღამის ბარებში დადიხარ? – კითხულობს გაკვირვებული ექიმი.

– ყველაფერი რიგზეა, ექიმო, იმ აბებს ჩემს ცოლს ვასმევ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.